უძღვნი ღრმა სიყვარულით
ჩემს ძვირფას დედას

— ქრისტინეს —

ჩემი გულისთვის
ღვნილს და ტანჯულს.

ნ. ყ.

პ ო ლ ი ტ ი კ ა.

1. რ ა ა რ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა.

• პოლიტიკა ეტიმოლოგიურათ წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან პოლის, რაიცა ნიშნავს ქალაქ-სახელმწიფოს, ვინაიდან სხვანაირი ქალაქი ძველმა საბერძნეთმა არ იცოდა. ამნაირათ. პოლისი არის საზოგადოება სახელმწიფოებრივ ერთეულათ გადაქცეული, მიუხედავათ მისი სივრცისა და ფორმისა. ეკონომიური და ადმინისტრატიული ერთეული, თუნდაც ის უდიდესი სივრცისა და მრავალი მცხოვრებისაგან შედგებოდეს, პოლისი არ არის. ის იქნება უბრალო ქალაქი თანამედროვე მნიშვნელობით. მაშასადამე პოლისის ნიშნობლივი თვისებაა სახელმწიფოებრივობა. აქედან ყოველივე საქმიანობა, რომლის საგანია სახელმწიფოს მოწყობა და მართველობა, არის პოლიტიკური საქმიანობა ანუ პოლიტიკა.

სახელმწიფო არის პოლისი, სახელმწიფოს შესახები ზომები იქნება პოლიტიკა, ამ ზომების გატარება და მისთვის მუშაობა—პოლიტიკური მოღვაწეობა. სახელმწიფოს აქვს მრავალფეროვანი მოთხოვნილება, ამიტომ პოლიტიკაც მრავალნაირია. სახელმწიფო მეურნეობა არის პოლიტიკური ეკონომია, სახელმწიფოს საშინაო ადმინისტრატიული მუშაობა—შინაგანი პოლიტიკა, სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულება—საგარეო პოლიტიკა და სხ. ასევე იყოფა ის მუშაობის შინაარსის და მიზნების მიხედვით. არის პოლიტიკა კონსერვატიული, რეაქციონური, ლიბერალური, სოციალისტური და სხ.

სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებაა ადამიანი და

ტერიტორია. ე. ი. ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის ბინადრობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიის და მისი მკუდრებლების მოვლა შეადგენს საგანს პოლიტიკური საქმიანობისა ანუ პოლიტიკისა. ამიტომ დაცვა საზღვრის და ამ საზღვარში ამა თუ იმ წესწყობილების პოლიტიკის ძირითადი საკითხებია.

პრიმიტიული საზოგადოება მიწაზე არ არის მიკრული. საზღვარი მას არ აქვს, ის მოარულია, ხან ერთ ალაგას ცხოვრობს, ხან მეორეზე, ატარებს მწყემსის თუ მონადირის ცხოვრებას. მისი შემაერთებელია სისხლითი ნათესაობა, საერთო მთამომავლობა. აქ პოლიტიკის ერთი მთავარი დარგი მომაპარია.

ეგეგე საზოგადოება მოკლებულია კლასიურ დაყოფას, ქონებრივ დანაწილებას. უფროს-უმცროსობა აგებულია ხნოვანობასა და ნათესაობაზე. წეს-წყობილება საგვარეულოა. პოლიტიკის ეს მეორე დარგიც აქ უცნობია.

პოლიტიკის საგანია საზოგადოება კლასებათ დანაწილებული და ტერიტორიაზე მიკრული. სახელმწიფო და სახელმწიფო მოღვაწეობა დღეს მხოლოდ ამას შეიცავს. როცა კლასები გაუქმდება და სახელმწიფო საზღვრები ადმინისტრატიულ მიჯნებათ გადაიქცევა, პოლიტიკაც ჩამოქვეითდება, თუ სავსებით არ გაქრება. საზოგადო მოღვაწეობაში მთავარ ადგილს დაიჭერს არა პოლიტიკა, არამედ მეურნეობა, ტეხნიკა, მეცნიერება, ხელოვნება, მრეწველობა—საზოგადოთ სოციალური მუშაობა.

პოლიტიკა ორგვარია—პრაქტიკული და თეორეტიული. პირველი შეიცავს ფაქტებს, მომხდარ ისტორიულ ამბებს, მეორე კი ამ ამბების შესწავლას, დამუშავებას, დალაგებას. ვინც ქმნის ფაქტს, ის აწარმოებს პრაქტიკულ პოლიტიკას, ვინც სწავლობს ამ ფაქტს და მასზე სწერს, ის თეორეტიკია, კაბინეტის კაცია. ერთია პოლიტიკური მოღვაწე, მეორეა პოლიტიკური მწერალი.

პოლიტიკა თავისთავათ ხელოვნებაა, მსგავსათ მედიცინისა: ის აგებულია პოლიტიკურ ანუ სახელმწიფოებრივ მეცნ-

ნიერებათა შესწავლაზე და მათ საზოგადოებისათვის გამოყენებაზე. ისტორია, ეკონომია, სოციოლოგია, ეტნოგრაფია, ფსიქოლოგია, არქეოლოგია—მეცნიერებაა, პოლიტიკა კი ამათი დასკვნაა, მათი თავისებურათ გაგება და მოხმარაა. პოლიტიკოსი ეჭირვება სნეულ საზოგადოებას, როგორც ექიმი სნეულ პიროვნებას.

დღევანდელი საზოგადოება დასნეულებულია ერთი მთავარი ჭირით—ადამიანთა ქონებრივათ დანაწილებით, სიღარიბე-სიმდიდრით. პოლიტიკა დასაბამიდან ამ სენს უტრიალებს, მის წამალს ეძებს. მის ირგვლივ მუშაობს და მით ცოცხლობს. როგორ მოეწყოს ეს სნეული საზოგადოება, ვინ ბრძანებლობს, ვინ მორჩილებს, ვინ მართველობს—აი უცვლელი საგანი პოლიტიკისა, შინაარსი პოლიტიკური მუშაობისა, მიზანი პოლიტიკურ მოღვაწეთა.

ამნაირათ, პოლიტიკის საგანია მართველობა, ადამიანთა მოვლა-პატრონობა.

2. მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა.

მართველობა ნიშნავს მართვას ადამიანისა ადამიანის მიერ. მართველი და სამართავი ერთი და იგივე ელემენტია, ორივე შემთხვევაში საქმე ეხება კაცს, საზოგადოებას. ცხოველთა მოვლა-პატრონობა მართველობა არ არის, მწყემსი ხელისუფლებას არ ატარებს. ბუნების დამორჩილება იძლევა დიდ ძალას, დიდ სიმდიდრეს, არ იძლევა მხოლოდ პოლიტიკურ ძალას. ის შეიძლება გახდეს ასეთათ არა პირდაპირ, არამედ მისი საშუალებით ადამიანის დამორჩილებით. მარა თავისთავათ ის არ შეადგენს პოლიტიკის საგანს, მასთან ბრძოლა არ არის პოლიტიკური ბრძოლა.

მართველობის საგანია ადამიანი.

ადამიანი ხასიათდება ორი ძირითადი თვისებით: შთამომავლობით და ნივთიერი მდგომარეობით. ის შვილია თავის ტომის, ის წევრია თავის კლასის. ეს ორი ცნება პიროვნებაში უეჭველათ შეერთებულია, მარა ის არ არის შეერთებული ამ

პიროვნებათა კრებულში, საზოგადოებაში. უკანასკნელი არ ღებულობს უეჭველათ ნაციონალურ სახეობას. ყველაზე დიდი სახელმწიფონი ძველათ სავსებით ინტერნაციონალური შემადგენლობის იყვენ. ამ ხანაში საზოგადოება არ დგებოდა და არ ინგრეოდა რასიულ ნიადაგზე; მის ირგვლივ არ წარმოებდა პოლიტიკური ბრძოლა. კლასიური საზოგადოების ნაციონალურ ერთეულათ ჩამოყალიბება ახალი დროის მოვლენაა.

სამაგიეროთ, ადამიანის მეორე მდგომარეობა—ეკონომიური მომენტი—რჩება გადამჭრელათ, უცვლელათ ყოველ დროში და ყოველ პირობაში. როგორიცაა ეს მდგომარეობა, ისეთია მისი მატარებელი საზოგადოება და მართველობა. მონადირე და მეჯოგე ხალხთა მართველობა ეკონომიური და ადმინისტრატიული ხასიათისაა. სახელმწიფოებრივი ხანა იწყება მიწათმოქმედებიდან და მით იწყება პოლიტიკური მართველობა—ადამიანის გაბატონება ადამიანზე. ეს ბატონობა იღებს სხვადასხვა ფორმას (მონობა, ბატონ-ყმობა, პროლეტარიატი), მაგრამ ყველა შემთხვევაში მართველობა ნიშნავს ბატონობას კაცზე და არა ნივთზე. საზოგადოებაზე და არა ბუნებაზე.

რაკი ეს ძირითადი პოლიტიკური მოვლენა უცვლელია, მისი გამომწვევი მიზეზიც უცვლელი უსდა იყოს. საზოგადოება მუდამ იცვლება, ერთი ინგრევა, მეორე დგება, შრომის იარაღები სახლაპროთ სხვაფერდება, უმავთულო ტელეფონის საუკუნე არაფრით გავს შვილდ-ისარის საუკუნეს, ცივილიზაცია, კულტურა, ტეხნიკა უმწვერვალესათ განვითარდა, ყოველივე შეიცვალა, არ შეცვლილა მხოლოდ პოლიტიკური პრობლემა. ახლაც ისე, როგორც ხუთი ათასი წლის წინეთ, ისმება საკითხი, როგორი უნდა იყოს მართველობა და მის ირგვლივ წარმოებს ბრძოლა. რატომ? იმიტომ რომ არ შეცვლილა ერთი მოვლენა, ერთი თვისება და ეს პირველათ აღნიშნა არისტოტელმა—არ შეცვლილა ადამიანთა ნივთიერი დანაწილება, არსებობა მდიდრის და ღარიბის, მათი ბრძოლა და მაშასადამე პოლიტიკური ამოცანა იგივე რჩება. როგორ მდიდარმა

იბატონოს ღარიბზე, როგორ ღარიბმა გადააგდოს მდიდარი—აი მუდმივი, უცვლელი პრობლემა ათასი წლების. დღეს რომ აღდგეს არისტოტელი და გაეცნოს ჩვენ პოლიტიკურ ურთიერთობას, ჩვენს პროგრამებს, პარტიებს, ბრძოლას, უეჭველია იტყვის: არაფერი არ გაგიკეთებიათ, ყველაფერი ეს ჩვენც გვქონდა, ორი ათას ხუთასი წელი დაგიკარგავთო. მარა როცა ის მივა რკინის-გზის სადგურზე და რამდენიმე დღეში ევროპას მოიცლის, სახტათ დარჩება—აი ამას ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, კაცი ღმერთებს გათანასწორებიაო.

და ასე, კაცობრიობა პოლიტიკურათ იბეკნება ერთ ადგილზე, ხოლო ტეხნიკურათ და, საზოგადოთ, კულტურულათ, წინ მიდის და ვითარდება. ცხადია, მართველობა განუყრელათ შეკავშირებულია საზოგადოების ეკონომიურ დაყოფასთან, მის კლასიურ სხვადასხვაობასთან.

ამნაირათ, პოლიტიკის საგანია მართველობა, მართველობის საგანია ბატონობა ადამიანზე.

რა საშუალებით აღწევს ადამიანი მართველობას?

როგორ ხდება ერთის გაბატონება მეორეზე?

ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ მართველობის ძირითადი პრინციპები.

3. მართველობის ორი პრინციპი.

საზოგადოება დაყოფილია კლასებათ, კლასები ჯგუფებათ. თვითეული კლასი მიილტვის დაიმორჩილოს სხვა კლასები და მათზე იბრძანებლოს; თვითეული ჯგუფი ცდილობს დაიმორჩილოს როგორც თავისი, ისე სხვა კლასები და ხელთ იგდოს მართველობა. ხშირათ, რამდენიმე კლასი შეერთდება საერთო მოპირდაპირეს წინააღმდეგ და ადგენენ ერთ ფრონტს. აი ამ სამგვარ პროცესში იღებს სათავეს ყველა პოლიტიკური ცვლილება, ყველა მართველობა. რომელი ამ პროცესთაგანი გაიმარჯვებს, ისეთი წყობილება მყარდება.

ამ მრავალფეროვან ცვალებადობაში შეიძლება გავარჩიოთ ორი ძირითადი მიმდინარეობა, ორი მთავარი მოვლენა.

რომელთაგან გამომდინარეობენ ყველა დანარჩენნი. ამისდა მიხედვით, მართველობა არის ორნაირი: უკომპრომისო (შეურიგებელი) და კომპრომისზე აგებული. ავსსნათ.

როცა საზოგადოების რომელიმე ნაწილი ხელთ იგდებს სახელმწიფო სადავეს და ის არ არის იძულებული ეს მოპოვებული ძალა ვინმეს გაუნაწილოს, ხდება ის თვითმპყრობელი, აბსოლიუტისტი, შეუზღუდველი. ამ შემთხვევაში მართველობა უკომპრომისოა, დესპოტიურია.

როცა მართველი იძულებულია თავისი ბატონობა გაუზიაროს სხვა ელემენტებს, კლასებს თუ ჯგუფებს, უამისოთ მას არ ძალუძს შეინარჩუნოს ხელისუფლება, მაშინ ხდება მათ შორის მორიგება, შეთანხმება, უფლება-მოვალეობის განაწილება. დგება პოლიტიკური კომპრომისი.

პირველია ბატონობა ჯგუფის, გამარჯვება ვიწრო წრის კლასებზე; მეორეა ბატონობა კლასის თუ კლასთა კოალიციის, გამარჯვება ფართო წრის ვიწრო წრეზე.

ყველა მართველი ცდილობს მთელი ძალა-უფლება დაისაკუთროს და მორჩილთა რიცხვი გაზარდოს. ეს ბატონობის თვისებაა, ხელისუფლების სტიქიაა. და თუ მის მადას საზღვარი არ დაედვა, თუ არ გამოუჩნდა მოპირისპირე ძალა და ის არ შებორკა, დესპოტია იმარჯვებს და საზოგადოება ვარდება მონობაში. ეს ხდება მაშინ, როცა მართველათ იქცევა ჯგუფი, ადამიანთა მცირე კრებული, კლასებზე მაღლა მდგომი და მათზე დამოუკიდებელი.

კლასის ბატონობა კი მოითხოვს მის ნაწილთა შორის მორიგებას, ამ კლასის მრავალფეროვან ჯგუფთა კომპრომისს სხვა კლასების ხარჯზე. მაგრამ ამით იგებს უკანასკნელიც, შედარებით ჯგუფურ მართველობასთან, ვინაიდან გაბატონებულ კლასის სუსტი ელემენტები იძულებული ხდებიან დაიხმარონ სხვა კლასები დადებული კომპრომისის დასაცავათ. ინგლისის ბარონები იხმარიებდენ თავის ვასალთ მეფესთან ბრძოლაში და მოგების ნაყოფს მათაც უზიარებდენ. საზოგადოთ, კლასები ერთიმეორეზე გადაბმულია და ერთი ვერ წავა წინ ისე, რომ სხვებიც არ გაიყოლოს. დიდი სუფრიდან ნამ-

ცეცები ხალხისაკენაც ცვივა. დესპოტიაში კი ეს გამორიცხულია: აქ ყველა თანასწორი მონაა დესპოტის წინაშე..

ნამდვილი კლასიური მართველობა არ შეიძლება იყოს დესპოტიური. მაგრამ ის მაინც ვიწრო საფუძველზეა აგებული. მისი დანგრევა ადვილია. ამიტომ თვითეული გამარჯვებული კლასი ცდილობს გაიფართოვოს ბაზა. მოიმხროს მონათესავე კლასები და მით პოლიტიკური კომპრომისი გაამაგროს. რევოლიუცია მით უფრო ფართე და ღრმაა, რაც მეტი კლასები მასში მონაწილეობას ღებულობენ და საერთო გამარჯვებას საერთო მორიგებაზე აგებენ.

რით შეიძლება არსებული კომპრომისის დაცვა? არის ორი საშუალება—პოლიტიკური და მილიტარული, ე. ი. ან კანონით, ან იარაღით. მთელი თანამედროვე კონსტიტუცია ნიშნავს კომპრომისის დაცვას პოლიტიკური საშუალებით. პარლამენტი, სამინისტრო, სასამართლო და სხვა ერთი მეორეს ავსებენ, ერთი მეორეს ამაგრებენ და ერთათ იცავენ არსებულ უფლებას. მარა წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი გარანტია არ არის, მაშინ ხმალი იჭერს მათ ადგილს და დარღვეული უფლება იარაღით იცვება. როცა ინგლისის მეფე დაარღვევდა ბარონებთან დადებულ ხელშეკრულობას, მაშინ უკანასკნელნი იკრიბებოდენ და მეფეს ომს უცხადებდენ. დამარცხებული მეფე ხელახლა მოაწერდა ხელს, ხელახლა დაარღვევდა, სამოქალაქო ომი კვლავ იფეთქებდა და ასე მუდამ, სანამ არ გამტკიცდა პარლამენტი და სამხედრო გარანტია არ შესცვალა კონსტიტუციამ.

საზოგადოება ეძებს ნორმალურ პირობებს, მშვიდობიან ცხოვრებას, თავის მუშაობის და ნამუშიერის უზრუნველყოფას და ქმნის შესაფერ პოლიტიკურ წყობილებას. ეს კი მრავალნაირია, სხვადასხვა ფორმის და სახისაა. მარტო პატარა საბერძნეთში, არისტოტელის გადმოცემით, ორასზე მეტი კონსტიტუცია იყო დამკვიდრებული. ასევე მრავალფეროვანია მართველობის სხვა ფორმები. ყველა ამ სხვადასხვაობის თავისმოყრა შეიძლება ორ საფუძველზე, ორ დებულებაზე: ერთია მართველობა უკომპრომისო, ანუ დესპოტიური, მეო-

რე კი კომპრომისური ანუ კანონზე აგებული. პრინციპიალური განსხვავება მხოლოდ ამ ორ მიმდინარეობას შორის არის. მხოლოდ ესენი იძლევიან ორ ძირითად ფორმას, რომელთა ფარგალში თავსდება მრავალგვარი ხელისუფლება.

ასეთია მართველობის პრინციპები.

როგორია მისი ფორმები?

4. მართველობის ფორმები.

არისტოტელი სწერს:

«მიზეზი ხელისუფლების მრავალნაირობისა არის ის, რომ საზოგადოება შესდგება ბევრი ნაწილებისაგან. პირველყოვლისა აქ ხედავთ განსაზღვრულ რიცხვს ოჯახებისას, საიდანაც წარმოსდგება მცხოვრებთა რაოდენობა. ამათ შორის უეჭველათ ერთი მდიდარია, მეორე ღარიბი, მესამენი კიდევ შეადგენენ საშუალო კლასს. მდიდართა კლასი იარაღდება, ღარიბთა კლასი უიარაღოა. ამას გარდა, აქ ხედავთ ხალხის ერთ ნაწილს ჩაბმულს სამეურნეო 'მრომაში, მეორეს—ვაჭრობაში, მესამეს—მრეწველობაში... ცხადია, რაკი საზოგადოების ნაწილები ერთიმეორისაგან ნსხვავდებიან, მისი მართველობაც სხვადასხვა ფორმას უნდა შეიცავდეს.» *)

როგორც ხედავთ, მართველობის ფორმები მჭიდროთ შეკავშირებულია ხალხის სოციალურ დანაწილებასთან, მათ შორის არსებულ კლასთა ბრძოლასთან. კლასი ამ ბრძოლაში გამარჯვებული ამყარებს თავისი ბუნების შესაფერ წყობილებას. კლასიკური მაგალითი მართველობის ფორმებისა აგვიწერა ჰეროდოტმა, რაიცა მეორდება დღევანდლამდე და შეიძლება ჩაითვალოს ყველა ფორმების დედათ.

ის მოგვითხრობს შემდეგს:

სპარსელ შეთქმულებმა, დახოცეს რა მეფე სმერდისი და მთელი მისი ამალა, დაეპატრონენ სახელმწიფოს და შეიკრი-

---

*) არისტოტელი, «პოლიტიკა», ფრანგული თარგმანი, წიგნი 6.

ბენ მართველობის ფორმის გამოსამუშავებლათ (521 წ. ქრის. წინ). სამმა მეთაურმა წარადგინა სამი სხვადასხვა წინადადება.

ოტანემ სთქვა: «ჩემი აზრით, არავინ ჩვენგანი მეფეთ არ უნდა დაჯდეს. ეს არც სასიამოვნოა, არც კეთილია. და მართლაც, თქვენ გახსოვთ სანამდე მიიყვანა კამბიზმა თავისი სიმკაცრე, თქვენ იტანჯებოდით სმერდისის მიერ. როგორ შეიძლება მონარქია იყოს კარგათ მოწყობილი სახელმწიფო, როცა ერთ კაცს ნება ეძლევა ენის შეუბრუნებლათ აკეთოს ის რაც მოესურვება? საუკეთესო მომაკვდავი, ასეთი უფლებით აღჭურვილი, გადასცდება ჩვეულებრივ საღ გონიერებას... ის სცვლის წინაპართა ზნე-ჩვეულებას, ის ძალას ხმარობს ქალებზე, ის სიკვდილით სჯის კაცს გაუსამართლებლათ. სუვერენული ხალხი ატარებს საუკეთესო თვისებას—უფლებათა თანასწორობას. კიდევ მეტი, ის არ ჩადის არც ერთ მონარქის თვისებათ ზემოთ ჩამოთვლილ ბოროტებას. ის წილით აბარებს საზოგადო თანამდებობას პასუხისმგებელ მოხელეთ. ის წარუდგენს ხალხს ყველა განჩინებას. მე ხმას ვაძლევ მონარქიის გაუქმებას და ხალხის მართველათ გამოცხადებას. ყოველივე მდგომარეობს მრავალ რიცხვში.»

მეგაბიზი: «რაც ახლა ოტანემ თქვა ტირანიის გასაუქმებლათ, მიიღეთ ჩემ მიერ თქმულათ. მარა როცა ის გვირჩევს მართველობის ხალხისათვის გადაცემას, ის შორს არის საღი აზროვნებისაგან. და მართლაც, არავინ არ არის ისეთი დაუფიქრებელი და ხეპრე როგორც ხალხი. სწორეთ არ არის მოსათმენი როცა ისინი ვისაც სურთ თავი დააღწიონ მონარქის სიამაყეს, ვარდებიან არეულ-დარეული ხალხის სიბრიყვეში. ტირანმა იცის, რასაც აკეთებს. ხალხს კი არ შეუძლია ეს იცოდეს. როგორ იქნება ის ნასწავლი, როცა მისთვის არაფერი უსწავლებიათ და არც არასდროს კარგი და ზრდილობიანი შეუთვისებია? ის უცებ წააცივა საზოგადო საქმეს და გააქანებს მსგავსათ ზამთრის ნიაღვარისა. ვისაც სპარსეთისათვის ცუდი სურს, ხალხს დაეყრდნოს. მარა ჩვენ ავირჩიოთ საუკეთესო პირთა კრება და მივსცეთ მას სუვერენობა. ჩვენც ვიქნებით

ამათ შორის. უწარჩინებულესი განჩინებანი უეჭველია ასეთ ბრძენთა კრებაზე იქნება გამოტანილი.»

დარიუსი: «ჩემის აზრით, მეგაბისმა სწორათ ილაპარაკა ბრბოს შესახებ, მარა ოლიგარხიაზე კი ვერა. ვთქვათ სამივე ფორმა—ხალხი, ოლიგარხია, მონარქია—ჩინებულია; მე ვიტყვი, რომ უკანასკნელი ყველაზე უკეთესია. ერთ ჩინებულ კაცს არაფერი სჯობია. და მართლაც, ის მოქმედებს საკმაო გონიერებით, რომ განაგოს ქვეყანა უმწიკვლოთ. განსაკუთრებით მან იცის შენახვა საიდუმლოთ იმ გადაწყვეტილებების, რომელიც საგარეო მტრის წინააღმდეგ არის მიღებული. მაშინ როდესაც ოლიგარხიაში, როცა ბევრი მუშაობს საზოგადოებისათვის, კერძო პირთა შური, ჩვეულებრივათ მძლავრი, იფეთქებს. თვითეულს სურს იყოს ბატონი და თავისი გაიყვანოს. ყოველივე თავდება ერთი-მეორის სიძულვილით, საიდანაც იბადება საზოგადო განხეთქილება, ხოლო განხეთქილება ბადებს ყლეტას. ამის შემდეგ მიმართავენ მონარქიას, რაიცა ამტკიცებს მის უკეთესობას. თუ ხალხია ბატონი შეუძლებელია ბოროტება არ დაიბადოს. როგორც კი ის ჩნდება, ბოროტთა შორის იწყება არა სიძულვილი, არამედ მკვიდრი მეგობრობა. საზოგადოების შემაწუხებელნი ამას სჩადიან სხვებთან ერთათ. ეს მდგომარეობა გრძელდება მანამდე, სანამ ერთი კაცი, ხალხის ინტერესის დამცველი, მათ აღვირს არ ასდებს. მაშინ ხალხი ადიდებს ამ ერთს და ისიც არ აყოვნებს მეფეთ გადაქცევას. აქედანაც ცხადათ მტკიცდება, რომ მონარქია საუკეთესო მართველობაა...» *)

შეთქმულთა უმრავლესობა მიემხრო დარიუსს. მონარქია გამოცხადდა. მეფეთ დასვეს თვით დარიუსი.

როგორც ხედავთ, ამ სპარს მოღვაწეებმა უხსოვარ დროიდან მოგვაწოდეს ყველა ძირითადი პოლიტიკური ფორმები. მათ ნათლათ დასვეს საკითხი—ვინ მართავს და მიუგეს ნათლათვე. ადამიანთა დიდი რიცხვი, პატარა რიცხვი თუ ერთი, ანუ დემოკრატია, ოლიგარხია თუ მონარქია, აი ისტორიული

---

*) ჰერედოტის ისტორია, ფრანგული თარგმანი, წიგნი 3.

დავა დასაბამიდან წარმოებული ხელისუფლების ორგანიზაციის გარეშემო.

დემოკრატია უეჭველათ ფართო პოლიტიკური კომპრომისია, კლასთა და ჯგუფთა შეთანხმებაა შრომის და ბრძოლის ლეგალურ პირობებში საწარმოებლათ. ოლიგარხია და მონარქია კი შეიძლება იყოს ჯგუფურიც და კლასიურიც. ოტანე ახასიათებს ჯგუფურ მონარქიას, ვინაიდან სხვანაირი მონარქია აზიამ არ იცოდა. ბატონობა ჯგუფის ოლიგარხიულათ თუ მონარქიულათ. ე. ი. პირდაპირ თუ ერთი კაცის შემწეობით ნიშნავს ერთი და იმავე პრინციპის გატარებას, უკომპრომისო მართველობას, დესპოტიას.

დესპოტია ცხადდება ორი ფორმით—მონარქიულათ და ოლიგარხიულათ.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

5. დესპოტია მონარქიული.

საიდან წარმოსდგა მონარქია? ვინ იყო ის პირი, რომელმაც პირველათ გაბედა და თქვა—მე უნდა ვმართო ხალხიო? საიდან მიიღო მან ასეთი უზენაესი უფლება?

ამ კითხვებზე ყველა ქვეყნის ისტორია ერთ და იმავე პასუხს იძლევა. აი მაგ. როგორ მოგვითხრობს «ქართლის ცხოვრება» პირველი მეფის გაჩენას საქართველოში. ქართველები იკოფოდენ თემებათ ნათესაობის საფუძველზე. თვითეულ თემს მეთაურობდა უხუცესი, სახლის უფროსი (ანუ მამასახლისი) და განაგებდა თავის ნათესავთ მამა-შვილურათ. მაგრამ მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი: ერთი მამასახლისი, მცხეთის, გაძლიერდა, დაიმორჩილა დანარჩენები და თავის თავი მეფეთ გამოაცხადა. მონარქია დაიწყო.

რას ნიშნავს ეს ერთი კაცის გამოთიშვა ჩვეულებრივი მდგომარეობიდან და ამაღლება? ეს ნიშნავს იმას რომ მცხეთის თემი სხვადასხვა მიზეზების გამო განვითარებულა, ნათესაური კავშირი დარღვეულა, კლასები აღორძინებულა, მამა-

სახლისის ერგვლივ მდიდრებს თავი მოუყრიათ და სხვებს, უკან ჩამორჩენილთ დარევიათ.

ამ გზით აღორძინდა მონარქია ყოველგან, ეგვიპტეში, ასირიაში, ბაბილონში და სხ. მასპეროს სიტყვით, «ძველი ეგვიპტელები ცხოვრობდენ დამოუკიდებელ თემებათ ნილოსის გასწვრივ და შეადგენდენ მრავალ ერთეულთ. შემდგ. ერთმანეთში აითქვიფენ და შექმნეს ორი დამოუკიდებელი ერთეული თავ-თავიახთი მეფეებით. ბოლოს ერთმა მეფემ მოსპო ეს დაყოფაც და ეგვიპტე აქცია ერთ სახელმწიფოთ.» *)

ასე თუ ისე. მონარქია აღორძინდა საგვარეულო წესების ნანგრევებზე სისხლით და რკინით. ახლათ დაბადებულ შეძლებულ კლასებმა პირველათ შესძახეს ქვეყანას—ჩვენ მოვდივართ, გზა მოგვეცითო. პირველი მონარქია ყოველგან კლასიურია, კომპრომისულია. მეფე აკეთებს თავის კლასის საქმეს, ის მას წინამძღვრობს ომში და ზავში. მარა რაკი მონარქიული პრინციპი ამუშავდა, ის ვითარდება და თავის ბუნებრივ შედეგებამდე მიდის. მონარქს აქვს სასახლე, ყავს საკუთარი მცველები, შეიარაღებული ხალხი, ჯარი, მოხელენი, კარის-კაცნი, მთელი გროვა მასზე დამოკიდებული ადამიანებისა. დგება სასახლის ჯგუფი, გაბატონებული კლასისაგან გამოყოფილი, საკუთარი ინტერესით და მისწრაფებით. ახლა ის აღარ იღებს თავის კლასის კარნახს, თავის ინტერესებს მის ინტერესებზე მაღლა აყენებს. ჩაღდება ბრძოლა ტახტს და გაბატონებულ კლასს შორის.

და აი, სადაც ეს ბრძოლა მეფემ მოიგო, იქ მყარდება მონარქიული დესპოტია, ხოლო სადაც წააგო, იქ კომპრომისული მონარქია. საქართველო და მთელი დასავლეთი ევროპა მოხვდა მეორე კატეგორიაში, აზია და რუსეთი პირველში. **)

ამნაირათ. მონარქიული დესპოტია ნიშნავს ტახტის გა-

---

*) მასპეროს აღმოსავლეთი ხალხების ისტორია.

**) ისტორიკოსები იხსენიებენ ერთათ ერთ ხალხს აზიისას. რომლებმაც შეინარჩუნეს კლასიური მონარქია, ესენია პართები. მარა ამათი ისტორია კარგათ გამორკვეული არ არის.

რეშემო თავმოყრილ ჯგუფის პოლიტიკის წარმოებას, მთელი ძალა-უფლების მათ მიერ მითვისებას და ყველა კლასის მათ ყურმოჭრილ მონათ გადაქცევას.

დესპოტიის ნიშნობლივი თვისებაა მართველობა არა კანონით, არა წინასწარ-გამომუშავებულ და საყოველთაოთ გამოცხადებულ წესებით, არამედ ძალით, ქეიფით, მიმდინარე მიზან-შეწონილობით. აქ არავის არავითარი გარანტია არ აქვს, არც ქონებრივი, არც პიროვნული. მოულოდნელი ბრძანება ყველაფერს სჭრის. პეტრე დიდს ქეიფობის დროს მოაგონდებოდა რამე და იქვე ნახევ ქაღალდზე დასწერდა და სენატს უგზავნიდა «უქაზათ». სტრელცებს გაუსამართლებლათ თავს აკვეთიებდა და თვითონაც დაკაპიწებული ცულით ხელში აქ ჯალათის როლს ასრულებდა. პოლიციური ზომებით აწესებდა ის ზნე-ჩვეულებებს, ტანისამოსის ფორმას, საღამოების გამართვას, ცეკვას, ყოველივე წვრიმალებსაც კი. ერთი სიტყვით, დესპოტია არ უწევს ანგარიშს არავითარ კლასს, საზოგადო აზრს, არავის მდგომარეობას. თვითონ ადგენს და ასრულებს, როგორც მოეპრიანება. მისი ძლიერება უსაზღვროა, უკალაპოტოა. მისი მოწინააღმდეგე ჯგუფები, ტახტის ულუფის გარეთ დარჩენილნი, ცდილობენ არა მის შეცვლას, სხვა რეჟიმის დაწესებას, არამედ მის თავის სასარგებლოთ ამუშავებას.

დესპოტიაში იცვლება პიროვნება, წყობილება რჩება. აქ ხდება სასახლის რევოლიუციები, შეთქმულებები, მეფეთა ცვლილება სისხლით და ღალატით. პეტრე მოკლეს, მეფეთ დასვეს მისი ცოლი ეკატერინე, პავლე მოკლეს დასვეს ალექსანდრე. აქ წარმოებს ჯგუფთა ბრძოლა თავთავიანთი კანდიდატის სასარგებლოთ. გამარჯვებული აგრძელებს დამარცხებულის პოლიტიკას.

ასეთია მონარქიული დესპოტია.

როგორია არა-მონარქიული დესპოტია?

6. დესპოტია მცირე რიცხვის.

ჯგუფის პირდაპირი მართველობა იძლევა ოლიგარხიულ დესპოტიას. ადამიანთა მცირე რიცხვი, გამოკრეფილი სხვა და სხვა კლასისაგან და ერთ ორგანიზაციათ, ერთ პარტიათ გადაქცეული ეპატრონება ხელისუფლებას და იწყებს თავის შეფის წინამძღოლობით ბრძანებლობას. საიდან იღებს ის ამ ძალას? გზა ერთათ ერთია—უზურპაცია. ე. ი. სხვისი უფლების მოტაცება. წართმევა, დაჩემება. ძველი ბერძნები ამ წესით დამყარებულ მართველობას უწოდებდენ ტირანიულს, ხოლო მის მატარებელთ ტირანებს. *)

ამ სახით, დესპოტიური მართველობის მეორე ფორმა არის ტირანია ანუ ტირანიული ოლიგარხია. მისი ბუნება და ძირითადი თვისება სრულიად არ განსხვავდება მონარქიულ დესპოტიისაგან. ეს ორივე ერთ პრინციპზე არის აცმული. ერთ საფუძველზეა აგებული.

პირველ ყოვლისა, ორივე მართველობა ერთნაირათ უარს ყოფს მესამეს—დემოკრატიას. მეგაბისი და დარიუსი ერთათ უცხადებენ ხალხს უნდობლობას. ხალხი უვიცია. ბრიყვია. ქვეყანას დააქცევს, თუ აუშვი. ამბობს პირველი; ხალხის მართველობაში გაბატონდებიან ხალხის მტრები. დასტანჯავენ მას, ბოროტება ფრთას გაშლის, ამბობს მეორე. ორივე ეს ტირანთა ტეზისია, ბოლშევიკური დებულებაა. ხალხი, მაშასადამე, თვითონ თავს ვერ იხსნის, მას ეჭირვება მხსნელი. ვინ? ხალხზე მაღლა მდგომნი, განსაკუთრებითი ძლიერებით აღჭურვილნი თავდადებულნი, ამბობენ მონარქისტები და უზურპატორები. საშუალებაც ერთია—უსაზღვრო ხელისუფლება, დესპოტია.

რანაირათ შეიძლება ძალა-უფლების მოტაცება?

არისტოტელი სწერს: «ტირანია ეს მონარქიაა. რომელიც დესპოტიურათ მართავს პოლიტიკურ საზოგადოებას. ოლიგარხია აძლევს მართველობას მდიდართ, ხოლო დემაგოგია

---

*) ~~ტირანი ბერძნულათ~~ ნიშნავს უზურპატორს.

ღარიბთ. ტირანი გამოდის ხალხის გულისაგან და მას უპირ-დაპირებენ შეძლებულთ. ტირანთა უმრავლესობა დაიბადა დემაგოგებისაგან. მათ მოიპოვეს ხალხის ნდობა მართველთა ცილისწამებით». (იქ.)

ცხადია, უფლების მოტაცება ხდება ხალხის დახმარებით. საზოგადოებაში წარმოებული კლასთა ბრძოლა მდიდარ-თა და ღარიბთა შორის ხდება უფლების გადამცემათ არა ხალხისათვის, არამედ რამოდენიმე მისი «დამცველებისა-თვის».

ამ ახალი ჯგუფის გაბატონება შეიძლება მხოლოდ განსა-კუთრებულ ხანაში, სოციალური ბრძოლის განსაზღვრულ საფეხურზე. როცა ეს ბრძოლა აღწევს უმწვერვალეს სიმაღლეს და არყევს მთელ სახელმწიფო შენობას, როცა ძველი მობე-რებული კანონები კარგავენ მორალურ ძალას, ხოლო მათი ამსრულებლები ავტორიტეტს, დგება რევოლიუციური გადა-ტეხა, უფლების გადაცემა ერთი კლასიდან მეორესათვის. აი ამ კრიტიკული მომენტით სარგებლობენ მოხერხებულნი და გაბედულნი და გამოგორებულ საუნჯეს ეპატრონებიან.

ამ საშუალებით დამყარდა საბერძნეთის რესპუბლიკებში ტირანია მეექვსე საუკუნეში (ქრ. წ.). ხალხი ყოველგან აქ აუ-ჯანყდა არისტოკრატიის ოლიგარხიულ მართველობას, სძლია ის და ხელში ჩაუვარდა დემაგოგთ. ესენი იბრძოდენ ხალხთან ერთათ, მას აქეზებდენ და წინამძღვრობდენ, ხოლო გამარჯვე-ბის ნაყოფი კი ხალხს წაართვეს და თვითონ დაიჩემეს. ეს არის რევოლიუციური მოძრაობით დამყარებული ტირანია. მაგრამ არის ტირანია გარედმიდან შემოტანილი, მოსაზღვრე სახელმწიფოს მიერ ომით თავზე მოხვეული. აი მაგ. სპარტა შეიპრა ათინის საზღვრებში, დაამარცხა მისი დემოკრატიუ-ლი მართველობა, განაწესა მართველებათ ოცდაათი ტირანი, მისცა მათ თავისი გარხიზონი და ჯარი და ასე ეს თავისუფალი საზოგადოება ჩაყარა სრულ პოლიტიკურ მონობაში. მართვე-ლებმა შექმნეს ყველა ქალაქებში და სოფლებში თავისი მომ-ხრე ორგანიზაციები, მისცეს მათ ადგილობრივ მცხოვრებ-ლებზე განუკითხავი ბატონობა და ასე გამაგრებულნი შიგნით

თავისი პარტიით, გარედმიდან უცხო ჯარით, დაიწყეს საშინელი ტეროორი.

ამგვარათ, დესპოტია ორნაირია, მონარქიული და უზურპატორული. ვის ეყრდნობა ის?

7. დესპოტიის დასაყრდნობი.

დესპოტია ეყრდნობა ხალხს. როგორ?

მონარქიული დესპოტია მოდის უხსოვარი დროიდან და გადადის მემკვიდრეობით. მასში ღრმათ ჩაქსოვილია რელიგიური ელემენტები. გამარჯვებული მეფე ცხადდება სასულიერო წოდების მიერ ღვთის მოვდგილეთ, უზენაესის წარმომადგენლათ და ეს აზრი ხალხში მკვიდრდება. ფარაონები ეგონათ ღმერთის ამონის შთამომავალი, ასირიის მეფენი ღმერთი აშურის, მოსკოვის მეფენი ქრისტეს მიერ მირონცხებული. ყველა ხალხში მეფობა ციურ მოვლენათ იყო აღიარებული. მისი ბატონობის ერთი უძლიერესი ბაზა აი ეს ტრადიციაა.

ტირანები, ეს გუშინდელი ვიგინდარები, მოკლებულია ასეთ საფუძველს, მისი გაბატონება მოხდა გამოღვიძებული საზოგადოების თვალის წინ; მას არავითარი ფარდა არ ფარავს. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან სავსებით დაეყრდნონ ახალ საშუალებებს, გამოინახონ ახალი საფუძველი და მით ხალხის გულში დაისადგურონ.

ორივე დესპოტიის მთავარი საზრუნავია შეინარჩუნონ ძალა-უფლება. ამ მიზნით ორივე ერთნაირათ ებრძვიან ყოველგვარ თავისუფალ ორგანიზაციას, ხალხის და მაღალი წრეების დამოუკიდებელ შეკავშირებას. აქ ერთი მხრით დგას ხელისუფლება და მისი მომხრე ორგანიზაციები, მის მიერვე შექმნილი და პრივილეგიური, მეორე მხრით არის ბრბო, ადამიანთა ჯოგი, უორგანიზაციო, უთაო, უწინამძღვრო. ამ უღელს ხალხი იტანს და დესპოტიას მხარს უმაგრებს იმიტომ, რომ ეს მის გულს სხვა საშუალებით ინადირებს.

მონარქი ხალხის თანაგრძნობას პოულობს იმით, რომ ის სდევნის მაღალი კლასის საუკეთესო შვილთ, წარჩინებულ

გვარისკაცთ და მათ არ აძლევს გასაქანს. რატომ? იმიტომ რომ დესპოტი თავის პოლიტიკურ მტერს ხედავს მხოლოდ ამ წრეში, საიდანაც გამოდის და შეიძლება გაიზოვიდეს მის მაგიერი, ტახტის პრეტენდენტი, მეფობის კანდიდატი. უბრალო ხალხის შვილი გვირგვინზე ვერ იოცნებებს, და მაშასადამე ის არც საშიშარია. არისტოკრატია კი პირიქით მუდამ იმის ცდაშია, რომ ტახტი თავის იარაღათ გაიხადოს, თავისი კაცი მასზე დასვას და ამ მიზნით კონსპირაციას მიმართოს. თვით არსებული მონარქი ამ წრიდანაა გამოსული და მას არ სურს მასზე დამოკიდებული და მისი სათამაშო იყოს. ის მუსრს ავლებს არისტოკრატიას და ეს უხარია ხალხს. ივანე მრისხანემ თავისი ტეროორისტული ორგანიზაციით—ოპრიჩინით—გაანადგურა რურიკის შთამომავალი თავადები, დახოცა აუარებელი ბოიარები და მათი ქონება დაიტაცა. ის პირდაპირ დაეყრდნო დაბალ ხალხს. შეიქმნა მთელი ლიტერატურა ამ დემაგოგიის მადიდებელი და მასში «დემოკრატიზმის» ალმოჰმჩენი. როცა სპარსეთის მეფე თავის სატრაპებს თავს მოკვეთდა დინასტიური ინტერესისათვის, ხალხი მას ადიდებდა —ჯალათი თავიდან მოგვაშორაო, თუმცა ამით მისი მდგომარეობა ოდნავათაც არ უმჯობესდებოდა და ერთი სატრაპის ალაგს მეორე იპერდა. მაგრამ ბრბო ასე შორს არ იცქირება და გონია მეფე მისი მომხრე, მოხელენი კი წინააღმდეგი.

განვითარებულ საზოგადოებაშიაც, სადაც კლასთა ბრძოლა ორგანიზაციულათ წარმოებს, მეფე მიმართავს ამავე ხერხს კონკურენტების თავიდან მოსაშორებლათ. რომის მეფე ტარკვინიმ პატრიციების დასასუსტებლათ სენატში ასი პლებეი შეიყვანა წევრათ; როცა ისინი ამითაც ვერ მოსტეხა, მისმა შვილმა ტარკვინი წარჩინებულმა მრავალი პატრიცი დახოცა. მაგრამ აქ ხალხი არ წამოეგო მეფის ანკესებს, ის მიემხრო არისტოკრატიას და მოახდინა რევოლიუცია. მონარქია გაუქმდა, რესპუბლიკა დაწესდა. იმპერატორ სეევერიმ განიმეორა ტარკვინის ცდა უკეთესი შედეგებით. მან სიკვდილით დასჯა 41 სენატორი, მათი ცოლშვილით, შთამომავლობით, და ყმებით, გაანადგურა გალიის და ისპანიის არისტოკრატია.

ხალხი აქ საკმაოთ დარღვეული და დასუსტებული აღმოჩნდა და დევნილი პატრიციები განამარტოვა. დესპოტიამ გაიმარჯვა.

ამავე საშუალებას მიმართეს ინგლისის მეფეებმა. საუკუნოების განმავლობაში ტახტი და არისტოკრატია ერთმანეთს ებრძოდა. მარა აქ მეფეს არ გაყვა სხვა კლასები, ის განმარტოვდა და მით პარლამენტარიზმი დაიბადა.

ერთი სიტყვით. დესპოტიის გამარჯვება ხდება ხალხის დახმარებით და დესპოტის ნათესავი წრეების განადგურებით. მონარქი თავის კონკურენტთ აცხადებს ხალხის მტრებათ და მათ იარაღით უსწორდება.

როგორც ხედავთ, ბოლშევიკების მიერ თავის კონკურენტების—სოციალისტების დევნა მათი მოგონილი კი არ არის. ასეთია დესპოტიის ბუნება, სხვანაირათ მას არ შეუძლია მართველობა შეინარჩუნოს.

დემოკრატიაში. როგორც ქვემოთ დავინახავთ. კონკურენტს, ე. ი. უახლოეს პოლიტიკურ ნათესავთ კი არ სპობენ, პირიქით, მათთან კავშირში შედიან ნამდვილი მტრის წინააღმდეგ. დესპოტიაში მართველი ყველას შეუკავშირდება, ოღონდ პრეტენდენტი მოსპოს.

დესპოტია დევნის არა მარტო სამოქალაქო არისტოკრატიას, არამედ სასულიეროსაც, თუ მასში რაიმე ოპოზიცია დაინახა. ფარაონ ტრუტონკამონმა, რომლის საფლავი აგერ ახლა აღმოაჩინეს, სამღვდელოება დაიმორჩილა არა მარტო ტაძრების დაკეტვით, არამედ თვით იმ ღმერთის გაუქმებით, რომელსაც ეს ტაძრები ემსახურებოდა. ფარაონ ხეოპსმა დაკეტა ეგვიპტის ყველა ტაძარი, რომ ამით ხალხს ერთათ ერთი ფარაონი დაესახა ღმერთათ. რელიგიის დევნამ გასტანა ნახევარ საუკუნეზე მეტი. თვით რომის პაპი ხშირათ ხურავდა ეკლესიებს ამა თუ იმ სამეფოში და არ გააღებდა მანამდე, სანამ ოპოზიციური მეფე მას არ დაუჩოქებდა და შენდობას არ სთხოვდა.

აქაც, ამ სფეროში, ბოლშევიკებს ახალი არაფერი შეუტანიათ. რელიგიის დევნა დესპოტიის ბუნებაა. ის არ სცნობს

არავითარ დამოუკიდებელ ორგანიზაციას, არ ინდობს თვით ღმერთსაც.

თვითეულ ასეთ დევნას დესპოტია აცხადებს მიმართულათ არა ხალხის, არამედ მისი მტრების წინააღმდეგ. ვინაიდან მისი სუსხი პირდაპირ ხვდება არა ხალხს, არამედ მის ირგვლივ თავმოყრილ გაბატონებულ კლასს, ამიტომ დესპოტია მიზანს აღწევს. ის იჭერს არისტოკრატიას მორჩილებაში ხალხის შიშით, აუშვებ ამ მხეცს და დაგეპასო, ხოლო ხალხს—არისტოკრატების დევნით; დევნის, რასაკვირველია, არა მთელ კლასს, არამედ ზოგ მის ურჩ წრეებს. აქ წაგებულია ხალხი, ის ორმაგ ულელს განიცდის. ბატონები კი მისდევენ განცხრომასაც და კონსპირაციასაც. მათი სამეფო პრეტენზიები ოდნავათაც არ ცხრება.

თუ კი ღვთაებრივი იდეოლოგიის მატარებელი მონარქი იძულებულია თავის მართველობის შესარჩენათ დაეყრდნოს ხალხს, რაღა უნდა ქნას ტირანმა, გუშინდელმა ვიგინდარამ, ყოველივე ტრადიციას მოკლებულმა და ხალხიდან გამოსულმა. მისი ერთათ ერთი დასაყრდნობი ხალხია. ამიტომ ის პირწმინდათ ბაძავს მონარქს, იმ განსხვავებით, რომ მის მეთოდს ის აზვიადებს უსაზღვროთ და მასზე აფუძნებს მთელ თავის პოლიტიკურ სისტემას. ტირანის დესპოტიზმს არ აქვს არავითარი კალაპოტი, მას არ აჩერებს არც სარწმუნოება, არც ადათ-ჩვეულება, არც მეგობრობა, არც მოყვრობა-ნათესაობა, არავითარი მოსაზრება გარდა ერთისა—რანაირათ შევინარჩუნო ხელში ჩაგდებული ძალა-უფლებაო. ის ბატონობს მხოლოდ თავისი საკუთარი სოციალური პოლიტიკით, რომლითაც ხალხს იმხრობს და მორჩილებაში იჭერს.

როგორია ეს პოლიტიკა?

8. ტირანთა სოციალური პოლიტიკა.

ძველი საბერძნეთის რესპუბლიკის კორინთის ტირანს პერიანდრს მოუვიდა მოციქული მილეთის ტირანისაგან—მასწავლე როგორ შევინარჩუნო ძალა-უფლებაო. მასპინძელმა

აიღო მაკრატელი და ბაღჩაში თაველი მოაგდებია ყველა პურის ღეროს. რომელიც კი სხვაზე მაღლა გაზრდილიყო. მოციქულმა გადასცა ეს ამბავი თავის ბატონს და ისიც მიხვდა ტირანიის საიდუმლოებას.

მთელი სოციალური პოლიტიკა ტირანიისა მდგომარეობს აი ამ პერიანდრის მოძღვრებაში: მაღალი დაადაბლე. წინ წაწეული უკან დააქანე. გაზდილი დაამოკლე. ადამიანნი გაათანაბრე დაბალ დონეზე მექანიკურად, ძალით, სისხლით და სასჯელით. აი ტირანიული მართველობის მთავარი ფარხმალი. აქ საზოგადოება და თვითეული მისი წევრი მიკრულია დაბალ საფეხურზე; არავის არ აქვს უფლება წელში გაიმართოს. მაღალ საფეხურზე ავიდეს და სხვებიც თან გაიყოლიოს. ასეთი თავხედი მაშინვე ისჯება ქონების ჩამორთმევით, დაჭირვით, სიკვდილით. აქ ხდება მდიდართა გაღარიბება; ღარიბთა გაღატაკება, ღატაკთა ბრბოთ გადაქცევა და მისი პრივილეგიებით აღჭურვა.

აი ეს უფროსთა განადგურება უხარიათ უმცროსთ; ქონების განიავებას ბრბო აღტაცებაში მოყავს; შეძლებულთა დავარდნა შეუძლოთ ასიამოვნებს.

სპარტის დიქტატორმა ნაბისმა ბევრი მდიდარი დახოცა, მათი ქონება და ცოლები თავის მომხრეთ დაურიგა, ვინც მახვილს გადაურჩა—სამშობლოდან გააძევა ქონების კონფისკაციით.

ათინის ოცდაათმა ტირანმა შეადგინა მომხრე ახალგაზდათა ორგანიზაცია და მათ ჩააბარა მოქალაქეთა გამგებლობა. ქსენოფონის სიტყვით, მათ დახოცეს რვა თვეში გაცილებით მეტი ადამიანი, ვინემ დაიხოცა ოცდაათი წლის ომში. ქონება გამოცხადდა დანაშაულობათ. შეძლებულნი ისჯებოდენ კონფისკაციით და სიკვდილით. ერთათ ერთ სოკრატს ვერ შებედეს, მხოლოდ ახალგაზდობის სწავლება აუკრძალეს.

სირაკუზის მართველმა მდიდრები დასწყვიტა, ქონება დაიტაცა და დაურიგა თავის პარტიის წევრთ. მანვე დაყო სახლები, ავეჯეულობა, საუკეთესო მიწები სურვილისამებრ. მონები გაანთავისუფლა. მისი სასახლის ახლო-მახლო უბნებ-

ში ჩაასახლა თავისი მომხრეები, მკვიდრნი ყველა გააძევა. მანვე გაძარცვა ყველა ტაძარი და ოქრო-ვერცხლი ხაზინაში შეიტანა. ასევე ხდებოდა ყოველგან და ყოველთვის ყველა ტირანიულ დესპოტიაში.

ამნაირათ, ტირანიის სოციალური პოლიტიკა მდგომარეობს მთელი ქონებრივი შეძლების კერძო პირთათვის წართმევასა და თავის ხელში დაგროვებაში. ღატაკი საზოგადოება, მდიდარი მართველობა—აი მისი დევიზი. ამით ის ენათესავება მონარქიულ დესპოტიას, რომელიც ცდილობს ხალხის მომხრობას მისთვის ქონების გაზიარებით. ხოლო ამისათვის კი საჭიროა მას თვითონ ქონდეს ეს ქონება. მონარქნი სხვადასხვა საშუალებით ისაკუთრებენ ხალხის შეძლებას და მერე ნებას აძლევენ მას ამით ისარგებლონ და სამაგიეროთ გადასახადი აძლიონ. ბოლოს გამოდის, რომ მეფე დიდი ქველმოქმედია, ხალხისათვის თავდადებულია! სპარსეთის მეფენი. დარიუსიდან, ითვლებოდენ მთელი მიწა-ადგილის მესაკუთრეთ, ხოლო მიწის მუშაკნი მის მოიჯარადრეებათ. ფარაონების სრულ განკარგულებაში იყო ეგვიპტის უძრავი და მოძრავი ქონება. ინდოეთში მიწა სახელმწიფოთ გამოცხადდა, ხოლო გლეხები ხიზნებათ. რუსეთში მეფეს ეკუთვნოდა მთელი მიწა-ადგილი და მას არიგებდა სურვილისამებრ. «ობშჩინა» შემოიღო მთავრობამ გლეხების ურთიერთ თავდებობით უკეთ დასაბეგრავათ.

ერთი სიტყვით, მდიდარი მთავრობა და ღარიბი მცხოვრები—ძირითადი სოციალური პრინციპია ყოველნაირი დესპოტიის, განსაკუთრებით კი უზურპატორულის. ეს იძულებულია თავისი ბატონობა მუდამ ამაგროს. მუდამ მომხრეები ეძიოს, მუდამ დამარცხების შიშში და კანკალში იყოს. დარიგებული ქონება საკმაო აღარ არის. საჭიროა ახალ-ახალი ხალხის მოყიდვა ფულით, თანამდებობით, შეძლებით. რაკი სიღარიბე მძვინვარებს, გასაყიდი ხალხი ბევრია. ზოგი პოლიციაში შედის, ზოგი ჯაშუშობს, ზოგი ხალხში დადის და პროპაგანდისტობს. ზოგი სწერს, საქმე ბევრია ხელისუფლების სადღეგრძელოთ.

არისტოტელი ტირანთა საქმიანობას ახასიათებს შემდეგ-ნაირათ:

«ტირანები ირჩენენ მართველობას ორი მოპირისპირე ზომებით, რომელთაგან ერთს ვიცნობთ გადმოცემით, ხოლო მეორე ხორციელდება ტირანთა უმრავლესობისაგან. ამბობენ რომ ამ პოლიტიკურ სეკრეტების დიდი ნაწილი გამონახა კორინთელ პერიანდრომ; ბევრს იძლევა აგრეთვე სპარსეთის მონარქთა მაგალითები. ეს ზომებია: ჩამოქვეითება იმათი, ვისაც რაიმე უმჯობესობა ეტყობა, სიკვდილით დასჯა ქეთილშობილი გრძნობებით აღჭურვილი პირების, აკრძალვა მეგობართა ასოციაციის, საზოგადო სუფრის, განათლების, ყოველივე იმის რაც ბადებს სულის სიდიდეს და რწმენას; აკრძალვა კრებების, თავყრილობის, სადაც ადამიანები თავისუფალ დროს ატარებენ, მიღება ყოველნაირი ზომის იმისათვის, რომ მოქალაქენი რაც შეიძლება ერთიმეორეს არ იცნობდენ, ვინაიდან ჩვეულებრივათ ურთიერთშორისი კავშირი ქმნის მათ შორის ნდობას, აგრეთვე აიძულებენ მათ არსად წავიდენ და იცხოვრონ ასე ვთქვათ კარების შესავალთან, რომ ამით უკეთ იცოდენ რას აკეთებენ და მიაჩვიონ გრძნობათა სიმდაბლეს ამ მუდმივი დამონებით. ყველა ეს და სხვა მზგავსი საშუალებები რაც ხმარებაშია სპარსთა და ბარბაროსთა შორის, შეადგენენ ტირანიის თვისებას და იძლევიან იმავე შედეგებს. სპეროა აგრეთვე ტირანმა იცოდეს ქვეშევრდომთა ნალაპარაკევი და ნამოქმედარი; ამ მიზნით მათ ყავთ ჯაშუშები, როგორც მაგ. სირაკუზში დედა-კაცები. აგზავნიან მეთვალყურეთ კრებებზე, როგორც ამას სჩადის ჰიერონი. ვინაიდან ასეთ პირობაში ნაკლებ თავისუფლათ ლაპარაკობენ და თუ მაინც ილაპარაკეს—ტირანმა ეს უკვე იცის. აქ აგრეთვე აქეზებენ მოქალაქეთ ერთიმეორეს ცილი დასწამონ და მით გადაკიდონ მეგობარი მეგობარს, აღელვებენ ხალხს გავლენიან პირთა წინააღმდეგ, ხოლო მდიდართ ერთიმეორის წინააღმდეგ.»

«მეორე წყარო ტირანიის შენარჩუნებისა მდგომარეობს ქვეშევრდომთა გაღარიბებაში, რომ ამით თავის დაცვა იაფათ დაუჯდესთ, ხოლო მოქალაქეთ, მუდამ მუშაობაში ჩაბმულთ

და წელგატეხილთ, დრო აღარ დაურჩეს იფიქრონ შეთქმულობაზე.»

«გადასაზადებიც ახალი საშუალებაა. როგორც ეს დავინახეთ სირაკუზში დენისის დროს. სადაც რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში საზოგადოების მთელი ქონება ხაზინაში შევიდა.» *)

ეს შესანიშნავი დახასიათება ხატავს ბუნებას ყველა ტირანიისა, არის ის ანტიური, იტალიის საშუალო საუკუნური თუ თანამედროვე ბოლშევიკური. ყველა ეს მოვლენა, მიუხედავათ მათი განსხვავებისა დროით და კულტურით, ერთი აზრისაა, ერთი სოციალური ხაზისაა, ერთი მოქმედებისაა. თითქოს ერთი მეორისაგან არის გადაწერილი. ასე გარდაუვალია დესპოტიის შინაგანი არსება. მას აქვს საკუთარი სახელმძღვანელო პრინციპი, რაიცა არ იცვლება არავითარ გარემოებაში, არავითარ ხანაში, საზოგადოებაში და ჰავაში.

როგორია ეს პრინციპები?

9. დესპოტიის პრინციპები.

როგორც ვთქვით, დესპოტიის მთავარი მიზანია მართველობის შერჩენა. ის, მაშასადამე, ფანატიკოსია ხელისუფლების, მთავრობის, ბრძანებლობის და მას ის ყველა კბილებით და ფრჩხილებით ებღაუჭება. ადამიანებზე ბატონობა, მათზე უფლების მიღება მისი სარწმუნოების სიმბოლოა, მისი ათი მცნებაა. მარა ამას ასე პირდაპირ ხომ ვერ იტყვის. ის ცდილობს გაამართლოს თავისი ბატონობა ისეთი საბუთებით, რომელიც ხალხს დააჯერებს და მით მის არსებობას უზრუნველყოფს.

რით ამართლებს დესპოტი თავის დესპოტიზმს? ერთათერთი საბუთით—ამას მოითხოვს საერთო ინტერესი, სახელმწიფო მოსაზრებაო, ამბობს ის.

სახელმწიფო მოსაზრება უეჭველია არსებობს ყველა ფო-

*) იქ. წიგნი 8.

რმის მართველობისათვის. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ის? ეწინააღმდეგება ის საზოგადოების ინტერესებს? ე. ი. საზოგადო და სახელმწიფო მოსაზრება სხვადასხვა ხაზზე უნდა იდგენ? არა, ვამბობთ ჩვენ, პრინციპი მორალის და სამართლიანობის, სავალდებულო საზოგადოებისათვის, უნდა იყოს სავალდებულო სახელმწიფოსათვისაც.

დესპოტიას კი ეს საკითხი ესმის სრულიად უკუღმა. მისთვის არის ორი მორალი—მართველის და კერძო პირის. კანონი ბოჭავს მხოლოდ უკანასკნელს, პირველი კი მის მაღლა დგას და მასზე ბრძანებლობს.

ნაპოლეონი ამბობს: «სახელმწიფო მოღვაწის ყოფაქცევა უნდა იქნას განსჯილი მისი საკუთარი წესებით და არა იმ წესებით, რომელიც აწესრიგებს კერძო ცხოვრებას. აიმაღლეთ თქვენი ფიქრი, მიმართავს მეტერნიხს, ახედეთ მაღლა და დაინახავთ, რომ ის სახელმწიფო კაცები, რომელნიც თქვენ გეჩვენებათ მოძალადეებათ, მტანჯველებათ და რომელთა შორის მეც ვარ, არიან მხოლოდ პოლიტიკური კაცები. მათ იციან ბატონობა თავის ვნებებზე და უკეთ გამოიანგარიშონ თავის მოქმედების შედეგები. მე დავღვარე სისხლი, უნდა დამეღვარა, კიდევ დავღვრი, შეიძლება, გაუჯავრებლათ, ვინაიდან სისხლი შედის პოლიტიკური ექიმობის რეცეპტში. მე ვარ სახელმწიფო კაცი.» (მეტერნიხის მემუარებიდან).

აი ნათლათ, სპარტულათ გამოთქმული დესპოტიზმის მორალი. დესპოტი არ ემორჩილება ადამიანთა წესებს, ის დგას მეტათ მაღლა, იხედება შორს, სანამდე ვერავისი თვალი ვერ მიწვდება, ის ხედავს იმას, რასაც ვერავინ ხედავს და ამიტომ მისი ბატონობა და მრისხანება საუკეთესო პოლიტიკური მკურნალობაა.

აი ამ დებულებით არის აგებული დესპოტიზმის მთელი დოქტრინა. არისტოტელის სიტყვით მისი ავტორია პერიანდრი, მარა მის წიგნს ჩვენამდე არ მოუღწევია და არ ვიცით რას სწერდა. სამაგიეროთ არის მეორე ავტორი, მეტათ ცნობილი და სახელგანთქმული. მისი სახელია მაკიაველი. ნაპოლეონმა მისგან ისესხა თავისი თეორიული მოსაზრება

და თავის მოქმედებას საფუძვლათ დაუდვა. მაკიაველის დროის იტალია სავსე იყო ახალ გამოჩეკილი ტირანებით. (მე-16 ს.) ახლათ გამთავრებული ვიგინდარებით, რომელნიც საჭიროებდენ გამართლებას და გამხნევებას. მაკიაველიმ მისცა მათ ასეთი იარაღი თავისი წიგნით «მთავარი», რაიცა შეადგენს ყველა ჯურის დესპოტების ერთათ-ერთ სახარებას დღევანდლამდე.

მაკიაველი სწერს, რომ მთავარი, განსაკუთრებით ახლათ გამთავრებული «ვერ გამოიჩენს ყველა სათნო თვისებებს დაუსჯელათ, ვინაიდან თავის შენახვის ინტერესი მას აიძულებს ხშირათ ფეხით გათელოს კანონები ადამიანობის, ქველმოქმედების და სარწმუნოების. უმთავრესია თავის ბატონობის შენახვა; საშუალებანი, რანაირიც უნდა იყოს იგი, ყოველთვის საპატიო მოეჩვენებათ და იქნება ყველასაგან ქებული. უბრალო კაცი სჯის მხოლოდ გარეგნობით, მსჯელობს შედეგებით. ხოლო ასეთი უბრალოა თითქმის ყველა. მცირე რიცხვი სახეში მისაღებია მხოლოდ მაშინ, როცა ბრბომ არ იცის ვის დაეყრდნოს». (თავი 18).

«ყველა ახალი მართველი იძულებულია ცოტათ თუ ბევრათ შეაწუხოს თავისი ახალი ქვეშევრდომნი ან ჯარის ჩაყენებით ან მრავალი სხვა სატკივარით, რაიცა მოსდევს დაპყრობას. ასე რომ მისი მტერია თავიდანვე ყველა შეურაცხყოფილნი, მეგობარია მხოლოდ ისინი, ვინც ის მოიწვია და ჩააყენა.»

«არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ, რომ კაცი ან უნდა მოიყიდო ან თავიდან მოიშორო. მას შეუძლია სამაგიეროს გადახდა მცირე შეურაცხყოფისათვის, ხოლო მძიმე შეურაცხყოფა მას უკარგავს ამის უნარს.»

მართველს «ადვილათ შეუძლია ჯარის შემწეობით დასუსტება, დამდაბლება ყველაზე უფრო მძლავრი პირების და ამით ქვეყნის ბატონათ სამუდამოთ დარჩენა, ასე სჩადიოდენ რომაელები ახალ დაპყრობილ ქვეყნებში. ისინი იქ აგზავნიდენ თავის კაცთ ჩასასახლებლათ, მფარველობდენ სუსტთ ისე, რომ ამათი ძალა არ გაზრდილიყო, ასუსტებდენ მძლავრთ,

რომელნიც საფრთხეს წარმოადგენდენ. არ ანებებდენ უცხოელთ იქ გავლენა მოეპოვებიათ.» (თავი 3).

ხალხის დაჯერება შეიძლება მხოლოდ ძალდატანებით. ალი მოციქულები უბრალო ქადაგებით «ვერას დროს ვერ მიაღწევენ გამარჯვებას. მარა როცა მათ შეუძლიათ აიძულონ, იშვიათია რომ არ გაიმარჯვონ. ამიტომ ყველა შეიარაღებული წინასწარმეტყველი მიზანს აღწევს, უიარაღო კი მარცხდება. ხალხის ხასიათი მოძრავია, ადვილია მისი აყოლა, მარა ძნელია იქ მისი შეჩერება. საჭიროა ისეთი თადარიგის დაჭერა, რომ იმ დროს როცა ხალხს შენი უკვე არაფერი სწამს, აიძულო იწამოს» (თავი 6).

«რა სჯობს: უყვარდეთ თუ ეშინოდეთ. ჩემის აზრით ორივე საჭიროა, მარა ვინაიდან ძნელია ამ ორივე თვისების შეერთება, ამიტომ უკეთესია მართველის ეშინოდენ. ვინემ უყვარდენ. ადამიანები პატივს სცემენ უფრო იმათ, ვისიც ეშინიათ, ვინემ იმათ ვინც უყვართ» (თავი 17).

აი მთავარი პოლიტიკური პრინციპები დაწერილი მაკიაველის მიერ უზურპატორთა სახელმძღვანელოთ. მაკიაველიზმი იწვევს საუკუნეთა განმავლობაში საზოგადო აზრის აღშფოთებას, მარა მას ახორციელებენ მუდამ საზოგადოების მტრები—ტირანები და დესპოტები. ,ის სამიდღემჩიო, უცვლელი ფარხმალია ყველა ჯურის მტარვალთა, ვინც უნდა იყვენ ისინი. აღწევენ კი მიზანს? ხანგრძლივია მათი ბატონობა?

10. დესპოტიის დაცემა.

ხანგრძლივი არის მონარქიული დესპოტია. ის ხშირათ ათას-წლობით მძვინვარებს, იცვლის დინასტიებს, პიროვნებებს, მარა რეჟიმი შეურყეველათ რჩება. ამ მისი ხანგრძლივობის შედეგია დარღვევა არა მარტო წყობილების, არამედ თვით სახელმწიფოს, თვით ერის და საზოგადოების.

არც ერთი სახელმწიფო არ ინგრევა ისე ძირბუდიანათ და მოულოდნელათ, როგორც დესპოტიური. ამის მიზეზია შემდეგი: დესპოტიური მართველობა ისე აგლახებს და აძაბუნებს

ყველა კლასს, მთელ ერს რომ ბოლოს და ბოლოს მას აღარ რჩება უხარი თავის დაცვის და სახელმწიფოს გამაგრების. ასეთი ქვეყანა უკვე გამოფიტულია სასიცოცხლო ძალებისაგან და საკმარისია ერთი უბრალო საგარეო ფათერაკი რომ მთელი ეს უზარმაზარი მრისხანე შენობა თავდაყირა დატრიალდეს. ეგვიპტე, სპარსეთი, ბაბილონი, ბოლოს რომი უბრალო ურდოებმა დაანგრიეს.

მონარქიული დესპოტია არ ეცემა რევოლიუციით. დაგლახებულ საზოგადოებას პოლიტიკური მოძრაობა არ ძალუძს. ამიტომ აქ არც რაიმე რეფორმაა შესაძლებელი შიგნიდან. ის ეცემა ან განიცდის რაიმე ცვლილებას მხოლოდ გარედმიდან, უცხო მტერთა შემოსევით. რუსეთის დესპოტიამ ყველა რეფორმა თავიდანვე შემოიღო ბრძოლის ველზე დამარცხების წყალობით. ამით ის თვით გადასხვაფერდა გასულ საუკუნეში და მით იხსნა სახელმწიფო დანგრევისაგან. რაზედაც ქვემოთ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ასეთია საერთო წესი მონარქიული დესპოტიის დაცემის.

სულ სხვანაირათ ეცემა ტირანიული ანუ უზურპატორული დესპოტია. ეს ხელისუფლება მკვიდრდება ისტორიის განსაკუთრებულ საფეხურზე, როგორც შედეგი ხალხის გამოღვიძების და რევოლიუციური მოძრაობის. ამ ბრძოლაში ერევა მესამე ძალა, ხალხს აჯდება და მას წინ მიერეკება მტრის წინააღმდეგ. ხალხს ეს უხარია, მოკავშირე იშოვა. მტერს ამარცხებს. მაგრამ ეს «მოკავშირე» მისი ზურგიდან აღარ ჩამოდის, პირიქით, ის იქ მაგრდება და ახალ ბატონათ ცხადდება. ტირანია იმარჯვებს. მაშასადამე. აქ ხალხი არც იმდენათ მოშლილია, რომ ბრძოლა ვერ შესძლოს და ახალ ბატონთ დიდხანს პარპაშობა დაანებოს. ამიტომ ტირანიის დაცემა შესაძლებლათ ხდება შიგნიდან.

მაგრამ თუ ხალხი საკმაოთ გატყდა, მისი ძალა შეირყა, გასანძრევი საშუალება არ აქვს. მაშინ ტირანია ეცემა გარედმიდან, უცხო ძალის დახმარებით.

არისტოტელი სწერს:

«ტირანია, როგორც სხვაგვარი მართველობაც, შეიძლება

დაინგრეს საგარეო მიზეზით. ეს მაშინ როცა მის მეზობლათ არის სახელმწიფო მოპირდაპირე პრინციპზე აგებული და რომელიც იმავე დროს უფრო ღონიერია. მოპირდაპირე პოლიტიკურ საფუძველზე აშენებული სახელმწიფონი ერთმანერთის მტერნი არიან.»

«ტირანია ირღვევა აგრეთვე თავისთავათ, როცა მართველთა შორის უთანხმოება იწყება. ასე მოხდა წინეთ ელლონის დაცემა, ხოლო დღეს იგივე მეორდება დენისთანაც... მოქალაქეებმა და ხალხმა ისარგებლა ამ ხელსაყრელი მომენტით. შექმნეს საერთო შეთქმულობა და სამუდამოთ განდევნეს ტირანები» (წიგნი 8).

ან შეთქმულობა ან უცხო ძალის დახმარება—აი რით ეცემა ტირანია. გავიხსენოთ რამოდენიმე მაგალითი.

ტიბეიაში შეთქმულებმა დაპატიჟეს ქალაქის ყველა მართველი ვახშამზე ერთი დიდი მოხელისას, დაათვრეს, დაატყვევეს და აჯანყდენ. გარნიზონმა ღამით გზა ვერ გაიგნო და ვერც თავისი უფროსები დაინახა და ციხეში დაბრუნდა. დილით გამოცხადდა ტირანიის გაუქმება და დემოკრატიის დაწესება. განთავისუფლებულ ხალხმა ყველა ტირანი დახოცა.

ათინის ემიგრანტებმა შეკრეს საიდუმლო ორგანიზაციები ათინის ჯარში და ხალხში, მოულოდნელათ თავს დაესხენ პირეიას, დაატყვევეს ტირანები; ათინიდან მათ წინააღმდეგ გამოგზავნილ ჯარმა ბრძოლაზე უარი თქვა და მიემხრო აჯანყებულთ. ტირანია დაინგრა.

სირაკუზში ტირანიის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა მრავალჯერ. ერთ დღეს ჯარი დაბრუნდა ბრძოლის ველიდან და შეიკრიბა თავის საქმეებზე მოსალაპარაკებლათ. ტირანი დენისი გამოცხადდა და აღუთქვა ომის ჩქარა გათავება. ამაზე ერთმა მოქალაქემ უპასუხა:

«განა ჩვენ გვყავს გარეთ ისეთი მტერი, როგორიც შიგნით? დეე მტერმა გაიმარჯვოს ჩვენზე, ის დაკმაყოფილდება ხარკის დადებით, ხოლო ჩვენ კი დაგვტოვებს ვიცხოვროთ თანახმათ ჩვენი კანონებისა. მარა აი ეს ტირანი, ჩვენი დამმონავებელი, არ სცნობს არავითარ კანონს, გარდა თავის პატივ-

მოყვარეობისა, ტანჯვისა და სიძუნწისა. მან გაძარცვა ტაძრები, დაიტაცა ჩვენი ქონება, ჩვენი მიწები თავის მომხრეებს დაურიგა. ჩვენი პირადობა ყოველ დღე ითელება სასტიკათ და სასირცხოთ, შუა-ქალაქში, ჩვენ თვალწინ დანთხეულია მრავალ მოქალაქეთა სისხლი. აი მისი ბატონობის ნაყოფი, აი რაგვარი მშვიდობიანობა მან მოგვანიჭა»... *)

ამ სიტყვის შემდეგ იფეთქა აჯანყებამ. მართველობა ჩაიკეტა სიმაგრეში და თავის მომხრე სპარტას სთხოვა დახმარება. უცხო ჯარი შემოვიდა და აჯანყება ჩააქრო. მაგრამ სიძულვილი ტირანიისადმი იმდენათ გაღრმავდა, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ერთმა ემიგრანტმა, დიონმა, მცირე რაზმით სამშობლოში შემოჭრილმა, დაამარცხა სირაკუზის ხელისუფლება და აღადგინა დემოკრატია. საერთო არეულობის დროს, ხალხმა პირველ ყოვლისა იქვე ქუჩებში დახოცა დაჭერილი ჯაშუშები, ტირანები და მათი მომხრენი. კორინთელი მოქალაქე ტიმელეონ წამოვიდა მცირე ჯარით სიცილიაში, მოიარა კიდის-კიდემდე და ადგილობრივი ხალხის დახმარებით განდევნა ტირანები.

ერთი სიტყვით, ყოველგან ტირანიული დესპოტია ეცემოდა აჯანყებით, შეთქმულობით, გარედმიდან დახმარებით, უცხო დემოკრატიის მფარველობით და ჩარევით. ეგევე მოვლენა განმეორდა იტალიის რესპუბლიკებში მე-15—18 საუკუნეებში, სადაც ტირანი ტირანს სცვლიდა, პარტია პარტიას ამარცხებდა, სანამ ბოლოს ყველა ეს უზურპატორები განდევნილი არ იქნენ და ქვეყანა არ შედგა ნორმალური განვითარების გზაზე. ასეთივე ბოლო მოელის ყველა თანამედროვე ტირანიას—ბოლშევიკურს, ფაშისტურს და მათ ამყოლ-დამყოლთ.

როგორც ხედავთ, პოლიტიკაში ახალი დიდი არაფერია, მეორდება ძველი ამბები ახალ ქერქში. აქ თამამათ შეიძლება ითქვას ბენ-აკიბას ცნობილი სიტყვები: «ყოფილა, ყოფილა, წენეთაც ყოფილა».

---

*) როტლენის «ძველი ისტორია», ტომი 2.

II. კლასიური მართველობა.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ მართველობა ჯგუფის, საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი და მასზე გაბატონებული სახელმწიფო ორგანიზაციის. მას ეპირდაპირება კლასის მართველობა, საზოგადოებაზე დამოკიდებული და მისი ნაწილებისაგან ნაკარნახევი პოლიტიკური წყობილება. სად და როგორ ამუშავდა ეს უკანასკნელი?

კლასიური მართველობის აკვანია იგივე საბერძნეთი. აქაც, ისე როგორც ყოველგან, მეფეს და არისტოკრატიას შორის გაჩაღდა განხეთქილება და დაიწყო ბრძოლა. აზიაში ეს დავა დასრულდა ტახტის გამარჯვებით, აქ კი არისტოკრატიის გამარჯვებით. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ აქ გაბატონებულ კლასის მთავარ ძალას შეიცავდა მიწის მესაკუთრეობა, რაც მიწის ნაკლებობის გამო წარმოადგენდა უდიდეს სოციალურ ძალას. აზიაში მიწას არ ქონდა ასეთი მნიშვნელობა, ვინაიდან ის ბევრი იყო და ამიტომ არისტოკრატია სახელმწიფო სამსახურს რჩებოდა. რომელიმე ფარაონი იპყრობდა აუარებელ ქვეყნებს და მას ურიგებდა თავის მომხრეთ. საბერძნეთის პატარა მეფეებს არ შეეძლოთ ასეთი დოვლათის მოპოვება და მით თავისი ტახტის და ამალის გაძლიერება. აქ მეფე და მისი ხელისუფლება სუსტია, საზოგადოება და მისი მაჯის ცემა მძლავრია. მათ შორის ამტყდარი შუღლი გათავდა მძლავრის სასარგებლოთ. იშვა არისტოკრატიული რესპუბლიკა. ეკონომიურათ გაბატონებული კლასი პირდაპირ იღებს ძალაუფლებას და აწესებს თავის კლასიურ მართველობას. კლასიური მონარქია შესცვალა კლასიურმა რესპუბლიკამ. ამით სარბიელი ეძლევა დამორჩილებულ კლასების მოძრაობას, მათ ორგანიზაციას, მათ აგიტაციას და უფლებისათვის ბრძოლას. ოლიგარხია თავიდან ეყრდნობა ხალხის თანაგრძნობას, ურომლისოდაც ის მონარქზე ვერ გაიმარჯვებს. ამიტომ იძულებულია მართველობის ზოგ სფეროში დაუშვას მისი გავლენა და წარმომადგენლობა. ვენეციის რესპუბლიკაში დოჟის არჩევას ამტკიცებდა სასახლისწინ თავ-

მოყრილი ხალხი. როცა ერთხელ მან უარყო სენატის მიერ არჩეული მართველი და სენატმა ის არ გადაიყენა. შეცვინდა ხალხი სენატში და აიძულა ის მეორე პირის არჩევა. მაშასადამე, კლასიური მონარქია თუ კომპრომისია ტახტს და არისტოკრატიას შორის, ოლიგარხიული რესპუბლიკა კომპრომისია. არისტოკრატიის და ხალხს შორის. მაგრამ ვინაიდან ყველა ბატონი მიილტვის დესპოტიზმისაკენ, ოლიგარხიაშიაც მართველი კლასი იწყებს კომპრომისის დარღვევას და ხალხისათვის ყველა უფლებების წართმევას. იწყება ბრძოლა, რაიცა საბერძნეთში გათავდა ახალი რევოლიუციებით, ოლიგარხიის გაუქმებით და ძალაუფლების ტირანთა ხელში გადასვლით. შემდეგი რევოლიუცია ამყარებს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ამნაირათ, ერთიმეორის გვერდზე, ბოსფორის და ეგეის ზღვის გაღმა-გამოღმა დამყარდა ორი მოპირდაპირე სახელმწიფო წყობილება—ერთი მხრით დოსპოტია, მეორე მხრით დემოკრატია. ცხადია, მათ შორის ვერ დამაგრდებოდა მშვიდობიანი მოცილეობა. დარიუსმა კარგათ დაიმახსოვნა ოტანეს დოქტრინა და გადასწყვიტა ლახვარის ჩაცემა ამ მოძღვრების სამშობლოსათვის. აზიამ ომი გამოუცხადა ევროპას.

ვის არ უსწავლია შკოლაში თერმოპილის, მარათონის და სალამინის გმირული ამბები. სპარსთა ურიცხვი ლაშქარი და ფლოტი აქ მარცხდება ასჯერ ნაკლებ ბერძენთა ჯარის მიერ. დარიუსი, ქსერქსი, არტაქსერქსი აქ პოულობენ გარდაუვალ ზღუდეს, აქ ეთხრება სამარე მათ მილიონიან ჯარებს (რომელთა შორის ქართველებიც იყვენ) და მით აზია იკეტება აზიაში: რომის და მსოფლიო კულტურის აღორძინება შესაძლებელი შეიქნა. შემდეგ თვით ევროპა შეესია აზიას, ალექსანდრე მაკედონელმა, პომპეიმ და ცეზარმა მოიარეს ის, დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე, მაგრამ წყობილება ვერ შესცვალეს. აზიის საზოგადოება საკმაოთ დასნეულებული აღმოჩნდა და მან ვერ მიიღო ევროპიული მკურნალი. სამაგიეროთ ის თვით შეიჭრა რომში რომაელთა საშუალებით და რესპუბლიკის დარღვევა იდღესასწაულა. ცეზარი მოკლეს,

ცეზარიზმი იმარჯვებს. ხალხი მიემხრო დესპოტს და აჯანყდა ბრუტის წინააღმდეგ. რატომ? მიზეზი ცნობილია ანტონიოს სიტყვიდან ფორუმზე. მან გაახსენა ხალხს ცეზარის პურმარილი, მის მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან ქონების მოტანა და ხალხისათვის დარიგება, მუქთა გასართობების მოწყობა და სხ. ხალხმა არჩია დესპოტი—მარჩენალი. იმპერია დამყარდა ხელისუფლება თანდათან სპობს ყოველნაირ კომპრომისს. ხოცავს ყველა მოწინააღმდეგეთ, ეყრდნობა ჯარს და პლებსს. არღვევს მთელ საზოგადოებას და ბოლოს თვით ირღვევა. მაგრამ ვინაიდან საბერძნეთის და რომის დემოკრატიის ნამუშიერი ღრმა და ნაყოფიერი აღმოჩნდა, ამიტომ იმპერიის დანგრევასთან ერთათ კულტურა არ დანგრეულა. ის გადმოეცა ახალ ხალხებს და დაედვა საფუძვლათ ევროპის საზოგადოებას.

ამნაირათ, კლასიური მართველობა ამუშავებული ევროპის ერთ კუთხეში, გზას იკაფავს რომისაკენ და იქიდან ფორხილ-ფორხილით გადადის ალპებს.

რა სახეს ღებულობს ის ახალ ნიადაგზე? რატომ სძლია აქ მან დესპოტია?

12. ევროპის საზოგადოება.

როგორ აშენდა ევროპის საზოგადოება? რა ელემენტებისაგან შეიკრა ის?

გიზო იკვლევს ამ საკითხს და სკვნის, რომ ახალ სოციალურ შენობას საფუძვლათ დაედვა სამი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი საზოგადოება: რომაელები, ქრისტიანები და გერმანელები. თვითეული ამათგანი იყო აღჭურვილი საკუთარი ორგანიზაციით, იდეოლოგიით და დისციპლინით. რომაელები კავშირდებოდენ მუნიციპალიტეტში (მუნიციპიო), ქრისტიანები მრევლში, გერმანელები სამხედრო ძმობაში. აი ამ უცხო ძალებმა თავი მოიყარეს ერთ ალაგას, ერთ ტერიტორიაზე და იძულებული გახდენ ერთი მეორესან დათმობით და მორიგებით თავისი არსებობის შესაძლებლობა შეექმნათ.

ამ სახით, თავიდანვე, ევროპის აღორძინების ძირშივე ჩაიქსოვა კონფლიქტი, სოციალური ჭიდილი, ინტერესთა დაპირდაპირება და შეხლა-შემოხლა. სამი საზოგადოება ერთმანეთს მოხვდა და ბრძოლით და ზავით თავი შეინახა. ამათში უსუსტესი იყო. უეჭველია, რომაელი საზოგადოება. მუნიციპიოს მთავარი საფუძველი-საშუალო კლასი-უზომო გადასახადებით განადგურდა. არისტოკრატია დევნით დაიღუპა, ხოლო დაბალი ხალხი, დესპოტთა შემყურე, დაიშალა და წავიდ-წამოვიდა. მუნიციპიო აერთებდა ამ კლასების დარჩენილ უსიცოცხლო ნაწილებს, რომელთაც სოციალური სული ამორთმეული ქონდათ. მათ ფეხდაფეხ დევნიდა ქრისტიანები, ღარიბნი, მარა ერთი იდეით აღფრთოვანებულნი, მტკიცე კავშირებით შეკრულნი, მებრძოლნი და თავდადებულნი. ეკლესია ხდება მათი ცენტრი, მრევლი იჭერს მუნიციპიოს ადგილს.

გერმანელებმა, სანამ ტიურინგიის ტყეებში ბინადრობდენ, არ იცოდენ მიწის საკუთრება, იყვენ თავისუფალნი და თანასწორნი, არც ყმა და არც ბატონნი. როცა ისინი რომის კულტურულ ქვეყანას შეესიენ და დაინახეს ეს აყვავებული ბაღები, დამუშავებული მინდვრები, მოწყობილი სახლები, მოინდომეს ამ უცხო სანახაობის დაპატრონება და თავის საკუთრებათ აღიარება. იწყეს ამ სხვისი ავლადიდების ერთმანეთს შორის დაყოფა (პატრონს უტოვებდენ ერთ მეექვსედს). მათ არჩიეს სოფლები და იქ თავიანთ ახალ შეძენილ მამულებში მოიკალათენ.

ამ სამი საზოგადოების გადადუღება და მათი ერთ საზოგადოებათ დადუღება იწარმოვა 500 წელიწადს. მეათე საუკუნის ბოლოს უკვე ჩამოყალიბდა ახალი სოციალური შენობა. რომაელთა მუნიციპიო გადაიქცა საშუალო საუკუნოების ქალაქათ, ქრისტიანობამ მოგვცა პაპობა, გერმანელებმა მეფობა და ფეოდალობა. სამი საზოგადოება მოისპო, წინანდელი კონფლიქტები გაქრა. დაიბადა ერთი საზოგადოება ახალი კონფლიქტებით. ფეოდალები, ქალაქები, მეფენი და პაპები შეიბნენ.

ამ სამში ყველაზე უფრო მაგარი და დროს შესაფერი აღმოჩნდა ფეოდალობა. სოფლებში გაშაგრებულნი მემამულენი

მათი უფროს-უმცროსებით და მეურნეობით გახდენ ქვეყნის ნამდვილი პატრონნი. ეკლესია, ქალაქი, მეფე ფეოდალდებიან და მით იქმნება ერთი პოლიტიკური სისტემა—ფეოდალიზმი.

ფეოდალიზმის ნიშნობლივი თვისებაა არა ბატონყმობა, არა ჩაგვრა და ყვლეფა, ეს წინეთაც იყო, არამედ ადგილობრივი სუვერენიტეტი. ე. ი. ფეოდალს ხელთ უპყრია სახელმწიფო სუვერენობა თავის სამფლობელოს საზღვრებში. საფრანგეთი შეიცავდა 55 ასეთ სუვერენულ ერთეულს. მეფე ერთი ამათგანია, ის პირველია თანასწორთა შორის. მისი უფლება შეზღუდულია ფეოდალებისაგან. თვითეულ ფეოდალურ ერთეულში ვასალები თანდათან ხდებიან ბოძებული მამულის მესაკუთრენი, ძლიერდებიან და ფეოდალს აღარ ძალუძს მათ დაუთანხმებლათ რაიმე სერიოზული საგარეო ოპერაცია აწარმოოს. მისი უფლება იზღუდება მისი ვასალებით.

მეფე, ფეოდალები (სასულიერო და სამოქალაქო) და ვასალები შეადგენენ პოლიტიკურ ნაციას, რომელნიც ერთი მეორეს არ ანებებენ დესპოტიათ გადაქცევას. ამ ნაციიდან გამორიცხულნი არიან გლეხები, სამაგიეროთ მასში თანდათან შედის ქალაქები.

პირველი სიგნალი მუნიციპალური რევოლიუციისა საფრანგეთში მისცა ქალაქმა გამბრემ (1024 წ.). მას მიყვა ქ. მან, ლაონი და სხვები.

აი ეს სამგვარი პოლიტიკური პრინციპი—მეფობა, ფეოდალობა, ქალაქები—ამუშავდა ერთიმეორის გვერდზე, ერთ საზოგადოებაში, ერთიმეორის წინააღმდეგ. მუდმივი ბრძოლა, მუდმივი კომპრომისი მათი საარსებო სტიქიაა.

ამ ბრძოლაში ხდება მებრძოლთა გადაჯგუფება, კავშირების შედგენა, მტერთა განმარტოვება. მეცამეტე საუკუნიდან აშკარა ხდება ფეოდალიზმის შეუთავსებლობა ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარებასთან. ქალაქები და მეფე ერთდებიან. ფეოდალები სუსტდებიან, მეფე ძლიერდება. მარა მას მოპირდაპირეთ უჩნდება უძლიერესი ფეოდალი—პაპი. მეფე იძულებულია მის წინააღმდეგ დაეყრდნოს ერს და მას სთხოვოს დახმარება. ფილიპე ლამაზი იწვევს გენერალურ შტატებს (წო-

დებათა კრება) პაპთან საბრძოლველ საშუალებათა მისაღებათ (1303 წ.). აქ მესამე წოდება უკვე აყენებს თავის მოთხოვნილებებს.

ფეოდალიზმი საბოლოოთ მარცხდება, თავად-აზნაურული მონარქია მყარდება. მარა ამ დროს გაზდილი ბურჟუაზია მას ეპირდაპირება. მისი სიმაგრე ხდება სასამართლო დაწესებულებანი (პარლამენტები). მეფე ხელთ იგდებს კანონმდებელ და აღმასრულებელ უფლებას. მარა სამართალი დამოუკიდებელი რჩება. პარიზის პარლამენტი ემხრობა ფრონდას (ოპოზიციას).

ინგლისში ხომ თავად-აზნაურობამ 1215 წ. გამოსტაცა მეფეს სახელოვანი ხარტია, რომლის მე-39 მუხლი აწესებს პიროვნების ხელშეუხებლობას. დადებულ კომპრომისის გარანტიათ ბარონებმა დაიკავეს მეფის ციხეები. სასახლეები და მამულები. პარლამენტი დაიბადა.

როგორც ხედავთ, ევროპის საზოგადოება—შინაგანი კონფლიქტების საზოგადოებაა. მასში ამუშავებულია მრავალი ერთიმეორის მოწინააღმდეგე პოლიტიკური პრინციპები და მათი მატარებელი კლასები. ვერც ერთი ჯგუფი, კლასის ვერც ერთი ნაწილი ვერ შორდება საზოგადოებას და ვერ ადგენს მის მაღლა მდგომ ძალას. მართველობა მუდამ კომპრომისულია. აი ამ დაუდეგარი, აბობოქრებული სოციალური ტალღებიდან იშოვა გამოსავალი დაბალ კლასებმა. იხეთქა ხალხთა რევოლუცია, აღორძინდა დემოკრატია და ნაცია.

ამ გზიდან, ამ ფერხულიდან გამორიცხულია ერთი ქვეყანა, რომელიც გეოგრაფიულათ ძევს ევროპაში, მარა არ ემორჩილება ევროპიულ მსვლელობას. ეს ქვეყანაა რუსეთი.

13. რ უ ს ე თ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა.

როგორ შენდებოდა რუსეთის საზოგადოება? ვინ თამაშობდა მთავარ აქტიურ როლს მის მსვლელობაში?

ამ საკითხზე ცნობილი ისტორიკოსი მილიუკოვი სწერს.

შემდეგს: «ევროპის საზოგადოება შენდებოდა, ასე ვთქვათ, შიგნიდან, ორგანიულათ, დაბალი საფეხურებიდან მაღალზე. ჩვენსში ისტორიული პროცესი მიდიოდა ერთიანათ წინააღმდეგი გზით, მაღლიდან დაბლა.» *)

ამ დახასიათებით მოცემულია მთელი განსხვავება დასავლეთის ისტორიისაგან. მარა ეს არ ნიშნავს რუსეთის საკუთარ თავისებურობას, რომლის მსგავსი არსად არ განმეორებულიყოს. პირიქით, პლეხანოვის აზრით, ეს თავისებურობა «ძლიერ აშკარათ ანსხვავებს რუსეთს დასავლეთი ევროპის ყველა ქვეყნების ისტორიულ პროცესიდან და გვაგონებს აღმოსავლეთის დიდი დესპოტიების ისტორიულ განვითარებას, რაც მეტი თავისებურია ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება დასავლეთ ევროპასან შედარებით, მით ნაკლებათ თავისებურია იგი აღმოსავლეთ ქვეყნების განვითარების მსვლელობასან შედარებით». **)

რით აიხსნება ეს თავისებურობა და რაში გამოიხატა ის?

რუსეთს ევროპასავით არ მიუღია სამკვიდროთ საბერძნეთ-რომაელთა კულტურა და მასზე არ აუგია თავისი ყოფაცხოვრება. ის გეოგრაფიულათ გაგრძელებაა აზიის და მასთან შეკავშირებულია კლიმატიურათ და ისტორიულათ (კლიუჩევსკი). ის შეიცავს უზარმაზარ სივრცეს, დაფარულს ულრანი ტყეებით, თვალუწვდენელი მინდვრებით და იშვიათი მოსახლეობით. ასეთ პირობაში მიწას არავითარი ფასი არ ქონდა, მის შეძენას და გაშენებას არავინ ცდილობდა. მაშასადამე არ იყო აქ მიწის მესაკუთრეთა კლასი, ეს საბერძნეთ-ევროპის ცივილიზაციის მთავარი ბოძი. მცხოვრები ადვილათ ტოვებს ერთ ადგილს და გადადის მეორეზე. ყველა კლასი ღოღავს. არ ღოღავს მხოლოდ ერთი ელემენტი, ერთი სათავე, რომელიც აკავშირებს ამ აღოღებულთ. ეს არის ხელისუფლება, მართველი, მთავარი. ის რჩება ერთ ალაგას და თავისკენ ეპატიჟება

*) მილიუკოვის «რუსული კულტურის ისტორია», ნაწ. I. გვ. 104.

**) პლეხანოვი. რუსეთის საზოგადო აზრის ისტორია. ტ. I. წინასიტყვაობა.

ამ გამვლელ-გამომვლელ ხალხს სხვადასხვა დაპირებებით და შეღაკათიანი პირობებით. ვინაიდან ასეთი მთავარი ბევრია, მცხოვრებთ საშუალება აქვთ ამოირჩიონ და დროებით თავი შეაფარონ. საზოგადოებას აშენებს მთავრობა.

რუსეთის პირველი მთავრობა შედგებოდა უცხოელებისაგან. მერვე საუკუნეში ბალტიის ზღვის გაღმიდან, რასაც ეწოდებოდა სავარიაგო, წამოვიდენ ვაჭრები წყლის გზით სამხრეთში და გზაზე წააწყდენ სლავიანებს. ესენი ჩქარა დაიმორჩილეს და შექმნეს დნეპრის გასწვრივ ახალი სავაჭრო ცენტრები. კიევი გახდა მთავარი საქარავანო გზა და ვარიაგთა მართველობის სატახტო ქალაქი. არსდება ვარიაგთა სამთავროები რიურიკის მეთაურობით (IX—XI ს.). მაგრამ ეს არ არის რუსის ხალხის სახელმწიფო; აქ მართველი, მოხელე, ვაჭარი, დრუჟინნიკი—ყველა ვარიაგელია. ხოლო ადგილობრივი მცხოვრებნი, სლავიანთა თემები, მათი მოხარკე და მონაა. მთავრობის მთავარი შემოსავალია ვაჭრობა ხარკათ აღებული ზოოლოგიური სიმდიდრით, უფრო ტყავეულებით, და ტყვეებით. იპერდენ ტყვეებში ასობით და ათასობით სლავიანებს და ყიდდენ აღმოსავლეთში.

მხოლოდ მეთორმეტე საუკუნეში ხდება ვარიაგელთა გასლავიანება და ერთი რუსის საზოგადოების ჩამოქნა. მაგრამ ამ პროცესს ბოლო ეღება კატასტროფით—კიევის რუსეთის დანგრევით და მის მცხოვრებთა ჩრდილოეთისაკენ გაქცევით. ამის მიზეზია ორი გარემოება—საშინაო და საგარეო. ხელისუფლების ძალმომრეობამ და განსაკუთრებით ხარკის ადამიანებით აღებამ ერთი მხრით და სამხრეთიდან მოწოლილ ახალი ურდოების თავსდასხმამ მეორე მხრით გაამწარა ხალხი და ამ უბედურობას შეებრძოლა გაქცევით. ის ცდილობს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას არა ადგილობრივი პირობების გაუმჯობესებით და ბრძოლით, არამედ მისთვის ზურგის შექცევით და გადასახლებით. ის მიდის ჩრდილოეთის ტყეებისაკენ იმ იმედით, რომ იქ არც ბატონი ეყოლება და არც მტერი. მაგრამ მოტყუვდა, ორივე მას გაეკიდა, პირველყოვლისა კი ბატონი.

ჩრდილოეთ რუსეთში, ვოლგის სათავეში, ნოვგოროდის მეოხებით ვარიაგთა წინამძღოლობით გაშენდა ქალაქები როსტოვი, სუზდალი, მურომი და სხ., რომელთაც მართავდენ მოქალაქენი (ვეჩე). სამხრეთიდან გამოქცეული გაჭირებული ხალხი მოაწყდა აქეთ და დასახლდა ქალაქების ახლო-მახლო (სლაბოდა). მათ გაუვა კიევის მთავარი ანდრია ბოგოლიუბელი და დაბინავდა სუზდალში სამთავროთ. მარა მას არ მოეწონა მოქალაქეთა ხელისუფლება და გადასახლდა ქალაქს გარეთ. აქ ის გამოვიდა ხალხის მეთაურათ «ბურჟუების» წინააღმდეგ და გამოუცხადა ბრძოლა ვეჩეს. მთავარს ემხრობა დაბალი კლასები, ქალაქები მარცხდებიან, ვეჩე ისპობა, დესპოტია წესდება. ახლა მართველი იწყებს ახალი საზოგადოების შექმნას ძველის ნანგრევებზე თავის ინტერესების და სურვილის თანახმათ. რუსის საზოგადოება იწყებს ჩამოყალიბებას ზევიდან. რუსეთი ნაწილდება საუფლისწულო ნაჭრებათ, რომელთაც განაგებს საკუთარი მთავარი თვითნებურათ ამ მათ პოლიტიკურ ძალაუფლებას ბოლო ეღება მონგოლების შემოსევით (1237—1240 წ.), რომელთაც დაიპყრეს მთელი რუსეთი და გამოაცხადეს ის თავის საკუთრებათ. ხანი ხდება განუკითხავი მართველი მთელი ქვეყნის, ხოლო მთავრები და ბატონისშვილები მისი აგენტები და ბრძანების ამსრულებელნი. აზიური დესპოტია მთელი თავისი სიგრძე სიგანით ბატონდება.

კიევის რუსეთს განაგებდენ ვარიაგები, საუფლისწულოსას—მონგოლები.

ეს ახალი ბატონები გვარიანი კულტურული ხალხი აღმოჩნდა. მათ განავითარეს საომარი ტეხნიკა, შემოიღეს პირველათ ხალხის აღწერა, შეადგინეს გადასახადთა კადასტრები, დააწესეს პოლიცია—ერთი სიტყვით ეს დანაწილებული და არეულ-დარეული ქვეყანა წესიერებაში მოიყვანეს. მთავართა შორის თავისი მორჩილებით და თავდაბლობით ხანის წინაშე თავი ისახელა დაჩაჩანაკებულ მოსკოვის ბატონმა. ხანი მას ანდობს მთავარ საქმეებს და ბოლოს უმორჩილებს დანარჩენ ბატონისშვილთ. მოსკოვი ღონიერდება, ფართოვ-

დება. ამ დროს თვით მონგოლები იყოფიან სამ სახანოთ (ყაზანის, ნოგაის, ყირიმის) და მათ შორის განხეთქილება ჩაღდება. მოსკოვი სარგებლობს ამით და მთავარ სახანოს—ყაზანს ომს უცხადებს. მთავარი იმარჯვებს, თავის თავს მეფეთ აცხადებს, მოსკოვის სამეფო დგება. რუსეთი განთავისუფლდა მონგოლთა ორასი წლის უღლისაგან. დაიბადა ნამდვილი რუსის, მოსკოვის, საზოგადოება. რა სოციალურ საფუძველზე აეგო ის?

მოსკოვის სამეფომ მიიღო სამკვიდროთ საუფლისწულო რუსეთის და იქ მონგოლების მიერ დაწესებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. რაკი მთელ რუსეთს ფლობდა ხანი და მას ხელთ ეპყრა სრული პოლიტიკური ძალაუფლება, ცხადია ბატონისშვილები მოკლებული იყვენ ამ უფლებას და წარმოადგენდენ უბრალო მემამულეთა გროვას. აქ მიწის მფლობელია თავადი. მის საუფლისწულოში მცხოვრებნი მისი მოიჯარადრე და მასზე დამოკიდებულია, მარა ვინაიდან პოლიტიკა კეთდება ორდაში (ხანის სატახტო ქალაქი), მიწა აღარ იძლევა პოლიტიკურ ძალას, ის უბრალო ეკონომიური კატეგორიაა. თავადი მხოლოდ მემამულეა, მიწათმფლობელია, მეტი არაფერი.

კლიუჩევსკი სწერს:

«თავადები რომ მათ ნებაზე ყოფილიყვენ მიშვებულნი, რუსეთს დაანაწილებდენ ერთმანეთის წინააღმდეგ მუდმივ მებრძოლ ნაფლეთებათ», მაგრამ ისინი იყვენ «ხანის ულუსები, თავისუფალი მეფის ხოლოპები.» [1])

ასე რომ ყველა საუფლისწულო სამფლობელო, მათ შორის მოსკოვისაც, იყო არა სახელმწიფო ტერიტორია, არამედ «ვოტჩინა», უბრალო მამული. ცხადია, აქ არ არის არც ერთი ნიშნობლივი თვისება დასავლეთის ფეოდალური წყობილების. «ხოლოპები» და «ულუსები» ეპირდაპირება ფეოდალებს და უთანასწორდება მონებს.

ამნაირათ, ერთი მხრით დგას დესპოტი-ხანი და მის ტახტს ირგვლივ შემოკრებილი მონგოლთა ჯგუფნი, მეორე

---

[1]) კლიუჩევსკის ისტორია, ნაწ. 2, გვ. 51.

მხრით მთელი რუსეთი, მათი ბატონიშვილებით და ხალხით. ყოველივე პოლიტიკურ უფლებას აყრილნი და ხანის მოხარკენი. აი ამ წყობილების მემკვიდრე ხდება მოსკოვის თავადი. ხანის მაგიერ მთავარი, მონგოლთა მართველობის ალაგას რუსების მართველობა იმავე წესებით და ძალა-უფლებით. ორდა ინგრევა, მოსკოვი შენდება. ეს არის ნაციონალური რევოლიუცია არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ საფუძველზე. მოსკოვის მეფემ მიიღო რა ხანის ტიტული (1547 წ.) გახდა მემამულისაგან მპყრობელი: საუფლისწულო რეჟიმიდან მას დარჩა მთელი ტერიტორიის მესაკუთრეობა. ხოლო ორდიდან—პოლიტიკური უზენაესობა. დესპოტია კიდევ უფრო გაძლიერდა და გამკაცრდა.

ყველა უარყოფითი მხარეები საუფლისწულო რუსეთის ვითარდება უმწვერვალეს ხარისხამდე მოსკოვის რუსეთში. მთელი მიწა მეფის საკუთრებაა და ხმარობს თავის სურვილისამებრ. ასეთი მდგომარეობა არ იცის ევროპამ. აქ ფეოდალიზმი დაამარცხა მეფემ, მაგრამ მისი მამული ხელშეუხებელი დარჩა. ამიტომ, სწერს პლეხანოვი, «საფრანგეთში მონარქის ამაღლება არ ნიშნავდა თავად-აზნაურობის დაყმობას სახელმწიფოსათვის.» სულ სხვაა აზიაში, ეგვიპეტი, ჩინეთი, ხალდეა, სპარსეთი ამხრით რუსეთის წინამორბედია. პლეხანოვის ცნობით, ჩინეთის მთავრობა ხშირათ ახდენდა მიწების «შავ გადანაწილებას» («ჩერნი პერედელი»), «როგორც მაგ. ეს მოხდა 1069 წ. და რაც ზოგიერთებს «სოციალისტურ» რევოლიუციათ მოეჩვენათ. «ძველ ეგვიპტეში და მოსკოვის რუსეთში მეფე თავის ექსპროპრიაციების მსხვერპლთ არავითარ სამაგიეროს არ აძლევდა». (იქ.) ერთი სიტყვით, მოსკოვის სამეფოს ეკონომიური ბაზა—მიწების გასახელმწიფოება—წმინდა აზიურ დესპოტიათა ნივთიერი პრინციპია და მასზე აეგო შესაფერი ურთიერთობა. მიწის მიმღები ხდება სახელმწიფოს მოხელეთ. მოსამსახურე წოდებათ, რომელიც შეადგენს უმაღლეს კლასს. მაგრამ მას არავითარი უფლებრივი პრივილეგია არ აქვს. ის ყმაა ხელისუფლების და მას ემორჩილება განუსჯელათ. უკვე მეთექვსმეტე საუკუნის გასულს ამ წოდებას აღარ შერჩა ძვე-

ლი უფლება—თავისუფლათ გადასვლის-გადმოსვლისა და სამსახურში შესვლისა. «ეს მათი დაყმობა, სწერს პლეხანოვი. შეიძლება უფრო მეტიც იყოს, ვინემ გლეხობის. ამით მოსკოვის რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება ემსგავსება აღმოსავლეთ დიდ დესპოტიათა წყობილებას». ერთი ევროპიელი მოგზაური 1517 წ. მოსკოვზე სწერს: «აზნაურები და უბრალო ხალხი თავის ქონებას უყურებენ. როგორც მეფისას იმიტომ რომ ყველაფერი მათ მიერ შეძენილი ადრე თუ გვიან მეფის სკივრში გადადის». (იქ.). მეფის ამ ძალმომრეობას რამოდენიმეთ ებრძოდენ ბოიარები, ბატონიშვილთა ჩამომავალნი. სამაგიეროთ მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნა საშინელი ტეროორი. მათ დაუნდობლათ ხოცდენ და მამულებს ართმევდენ. ივანე მრისხანეს მთელი რისხვა და მისი ტეროორისტული ორგანიზაცია «ოპრიჩინა» ბოიარების საქლეტათ იყო მომართული.

რაკი ასეთ მონურ მდგომარეობაში იყო «ბრწყინვალე» წოდება, რაღა უნდა ითქვას სხვა კლასებზე. ვაჭრები იყვენ სახელმწიფოს ყმები. ისინი ვალდებულნი იყვენ ევაჭრათ და ხაზინისათვის ფული ეძლიათ, რამდენსაც მოსთხოვდენ. ისინი იხდიდენ შემოსავლის მეათედს და მეხუთედს. ხოლო ომის დროს საგანგებო კონტრიბუციებს. ამავე დროს იგინივე ვალდებული იყვენ თავიანთი კაცებით მოეკრიფათ გადასახადები ყველა გადამხდელისაგან და ხაზინაში შეეტანათ, ხოლო თუ ვერ შეკრებდენ ან რასაც დააკლებდენ თვითონ უნდა დაედვათ. ვაჭრები დრტვინავდენ, ყაჩაღათ გარბოდენ. მათ მაგიერ პასუხისგებას დარჩენილნი აგებდენ მთელი თავისი ქონებით. ამ მიზნით შემოღებულ იქნა ვაჭართა ერთი მეორეს თავდებობა (კრუგოვაია პორუკა). 1658 წ. სიკვდილით დასჯა დაკანონდა იმ მოქალაქეთათვის, ვინც თავის ნებით ერთი ქალაქიდან მეორეში გადავიდოდა. ვაჭარს არ აქვს უფლება ქონდეს თავისი სადუქნე შენობა; ყველა ასეთი შენობა სახელმწიფოა და ვაჭარი იძულებულია ის იქირაოს.

ასეთსავე ყმურ მდგომარეობაშია სასულიერო წოდება. ის მემკვიდრეობით ვალდებულია იმსახუროს და არ აქვს უფ-

ლება წოდებიდან გამოვიდეს. შვილი იჭერს მამის ადგილს კანონით. მხოლოდ 1869 წ. განთავისუფლდა შვილები ამ ვალდებულობისაგან.

ადვილი წარმოსადგენია გლეხის მდგომარეობა. ის თანდათან დაემსგავსა აღმოსავლეთის დესპოტიათა გლეხებს (პლეხანოვი). გლეხი შეადგენდა სახელმწიფოს ნამდვილ მონას და არც არავითარი უფლება მას არ ქონდა. ის არჩენს «მოსამსახურე წოდებას», იხდის გადასახადს, რიგდება ასობით და ათასობით აზნაურთა შორის, რომელთა სრულ განკარგულებაში და დამოკიდებულებაში ირიცხება. მიწას ფასი აქვს იმდენად, რამდენად მას თან ახლავს მიწის მუშა. გლეხის მიწაზე მიკვრა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავია.

ყველა ეს წოდება მთავრობის წინაშე უუფლებობით თანასწორია. ყველას. დაწყებული აზნაურიდან. ერთნაირათ «როზგავენ», აწამებენ, აძევებენ, ატუსაღებენ. ახრჩობენ. ისინი შეკრული არიან ურთიერთ თავდებობით და მთავრობის წინაშე პასუხს აგებენ ერთათ თვითეული თავის წევრის მოქმედებისათვის. ბოიარინი სერებრიანის საზღვარ-გარეთ გაქცევისათვის მთელ მის წოდებას გადაახდევიეს მილიონ ნახევარი მან.. თვითეული წოდება, კლიუჩევსკის სიტყვით რომ ვთქვათ, მისსავე თავდებობაშია გაშვებული. სხვილი ვაჭრობა, მრეწველობა, საგარეო აღებ-მიცემობა მთავრობის მონოპოლიაა. კერძო ვაჭართ უფლება აქვთ საწვრიმალო ვაჭრობის. ერის ქონების ყველა ძარღვი მართველობის ხელშია დაგროვილი.

მთელ ამ კასტიურ შენობას აგვირგვინებს ტახტი, რომლის ირგვლივ თავმოყრილია უმაღლესი მოხელენი და განაგებენ სახელმწიფოს თვითნებურათ. ამ ჯგუფის შემადგენლობა წმინდა ინტერნაციონალურია. იმ 930 გვარში, რომელიც აღნიშნულია «ხაევრდის წიგნში» მეთაურებათ, ნამდვილი რუსია 33 პროც., დანარჩენნი არა-რუსებია: 24 პროც. პოლონეთლიტვიდან, 25 პროცენ. გერმანელები, 7 პროცენ. თათარი, 1 პროც. გამოურკვეველი ეროვნების (კლიუჩევსკი). ეს საერთაშორისო ავანტიურისტები თავზე აზიან რუსეთს და დესპო-

ტიის საშუალებით მას წუწნიან. მათ ოპეკაშია მცხოვრების თვითეული მოქმედება. მთელი მისი ყოფა-ქცევა და ცხოვრების წეს-რიგი. გაზაფხულზე ქალაქებში მთავრობა უკეტდა მცხოვრებთ საზამთრო სახლს და აბანოს, რომ ცეცხლი არ დაენთოთ და აიძულებდენ მათ მინდვრებში ეცხოვრათ. იწყება ისევ სიცივე. «არ არის ადგილი შჩის მოხარშვის და პურის გამოცხობისათვის. სიცივით და უპურობით ხალხი გარბის თავის შინიდან» (სოლოვიოვი). მთავრობა აცხადებს «უკაზს»: ვნების კვირაში ყველამ ეზიაროს, მარხვა შეინახონ, ეკლესიაში კვირაობით იარონ. მკითხავები სახლში არ მიიღონ, ქუხილის დროს წყალში არ იბანონ. ახალ მთვარეს პირველ დღეს არ შეხედონ, დათვები არ ატარონ და სხ. და სხ. «ვინც არ შეასრულებს სცემეთ ჯოხებით» (იქ.). ეს ქალაქებში; სოფელი რა მდგომარეობაში იქნებოდა—ადვილი წარმოსადგენია.

ამნაირათ, რუსეთის საზოგადოება აშენდა მაღლიდან, დესპოტიური მართველობის მიერ თავის ინტერესების და საჭიროებისათვის. აქ საზოგადოება ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით არც კი არსებობს. აქ არის პირისპირ უუფლებო ერი, ბრბოთ გადაქცეული და ყოვლად შემძლე მთავრობა, მისი განუკითხავათ მფლობელი და მპყრობელი. ივანე მრისხანე სწერდა ინგლისის დედოფალს ელისაბედს: «ჩვენ გვეგონა შენ შენს სახელმწიფოში ხელმწიფე იყავი და თვითონ გეკუთვნის ყველაფერი, თურმე შენ კი არა შენი კაცები ფლობენ და არა მარტო ესენი, უბრალო მოვაჭრე მუჟიკებიც». ხოლო კურბსკის ის სწერს: «რუსეთის თვითმპყრობელობა ნიშნავს იმას, რომ მე მეკუთვნის მთელი სახელმწიფო და არა ბოიარებს და კარისკაცებს. ჩემი ნებაა ჩემი ხოლოპების გაკეთება თუ სიკვდილით დასჯა.» მცხოვრებნი თავის თავს უწოდებდენ ხელმწიფის ობლებს და ხოლოპებს (მონებს). მეფე ხანდახან მოიწვევდა სათათბიროთ «საერობო კრებას», მარა ეს იყო კრება არა არჩეულ პირთა, არა რომელიმე წოდების ან კლასის წარმომადგენლების, არამედ მთავრობის ადგილობრივ მოხელეთა, სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა. ეს იყო თათ-

ბირი მთავრობის და მისი ხელქვეითების (კლიუჩევსკი). აქ ირ-ჩეოდა მხოლოდ პრაქტიკული საკითხები და არასოდეს პო-ლიტიკური.

უეჭველია იკითხავთ მიზეზს ამ საოცარი სოციალური შე-ნობის. ისტორიკოსები და მათ შორის კლიუჩევსკიც მთავარ მიზეზათ ასახელებენ მუდმივ ომებს, რასაც მოსკოვი ეწეოდა ყოველმხრივ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ ჩაითვლე-ბა ნამდვილ ახსნათ. ომიანობა არ იძლევა ასეთ დესპოტიურ ძალას. არც ერთ ერს არ უომია იმდენი, რამდენიც იომა სა-ქართველომ, მარა დესპოტია ვერ შექმნა. საფრანგეთ-ინგლი-სის ასი წლის ომმა მათი წყობილება ვერ შეარყია. ცხადია, მიზეზია ერთათ-ერთი, რაც ზევით უკვე დავასახელე, ეს არის მიწის საკუთრების ფორმა და მისი დამუშავების წესები. ე. ი. განსაკუთრებითი საწარმოვო ურთიერთობა შეიქმნა მთავარ ბაზათ რუსეთის საზოგადოების აგების. ომიანობა სწორედ შე-დეგია ამ მიზეზის და არა მისი სათავე. რაკი ხელმწიფეს ეკუ-თვნოდა მთელი მიწა და გლეხი და ამით თავის მომხრეთ აჯილ-დოვებდა, აშკარაა, რაც მეტი ექნებოდა ასეთი საუნჯე, მით მეტ ლაშქარს და მოხელეს გაიჩენდა. შიდა რუსეთის ეს სიმდიდრე უკვე დარიგდა. საჭირო შეიქნა ახალი მიწების დაპყრობა, ახალი დარიგება და ასე მუდამ სანამ დაპყრობის შესაძლებ-ლობა არ მოისპობა, რომელიმე მოსაზღვრე სახელმწიფო მის მადას არ აკვეცს. და აი, მთელი საუკუნოებით წარმოებს და-ჩპყრობი ომები, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრე-თით. მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ყირიმის ომის შემდეგ, ევროპამ შეაჩერა რუსეთის გაფართოება დასა-ვლეთით და სამხრეთით, ხოლო ჩინეთის მხრით აგერ ახლა იაპონიამ. აი ამ შეუჩერებლივ გაფართოვების პოლიტიკაში შეერთდა თავად-აზნაურობის და ტახტის ინტერესები; ამით ორივენი ხელს ითბობდენ და მაგრდებოდენ. მეფე მათ აჯილ-დოვებს მიწით და გლეხით, ისინი მეფეს ეხმარებიან და მის უფლებას აძლიერებენ. ამ მეფურ-თავად-აზნაურულ დაპყრო-ბითი სტიქიას აგრძელებენ დღეს ბოლშევიკები.

რაკი ომი მოსკოვის წყობილების მთავარი ხელობა და

მასაზდოებელია, ამიტომ ყველა გამარჯვება მას ამაგრებს. ხოლო დამარცხება კი არყევს. უკანასკნელს ის ხშირად განიც. დიდა განსაკუთრებით დასავლეთის ფრონტზე, ევროპიულ ჯართან და ტეხნიკასთან შეტაკებით. თვიდეული ასეთი შემთხვევა იწვევდა წყობილების «შეკეთებას», ერთნაირ რეფორმებს. ჯერ კიდევ ივანე მრისხანემ გააუქმა თავისი ტეროორისტული ორგანიზაცია—ოპრიჩინა—ლივონიასთან ომის წაგების გამო. ნაციონალური მედიდურობით და ყოყოჩობით აღსავსე ხელისუფლება იძულებული ხდება ევროპისაკენ პირი იბრუნოს. იწყება პეტრე დიდის რეფორმები, რუსეთის «გაევროპიელება» დესპოტიური საშუალებით. მთელი ეს ახალი მიმდინარეობა დაეყრდნო ორ ძირითად რეფორმას: მუდმივი ჯარის დაკანონებას და ახალი გადასახადების შემოღებას. რაც ტვირთათ დააწვა გლეხობას. პეტრე სწერდა სენატს. «მოკრიბეთ რაც შეიძლება მეტი ფული, ვინაიდან ფული ომის ძარღვიაო». შემოიღეს მრავალნაირი გადასახადი: მიწაზე, წისქვილზე, აბანოზე, ბუხარზე, საზამთროზე, სახლის, ოთახის თუ კუთხის გაქირავებაზე, ტყავზე, ქუდზე, ეტლზე... ერთი სიტყვით წარმოდგენილ და წარმოუდგენელ საჭიროებაზე და ნივთებზე. ამაში შედის გადასახადი წვერზე და ულვაშებზე! მილიუკოვის ანგარიშით ყაზანის გუბერნიაში სახელმწიფო გლეხის ოჯახი იხდიდა 12 სახის მთავარ გადასახადს, საერთოთ 7 მან. და 53 კაპ., ანუ ომის წინა დროის კურსით 60 მანეთზე მეტს (მრავლდება რვაჯერ). საბატონო გლეხი ცოტა ნაკლებს. ასევე არხანგელის გუბერნიაში, ცოტა ნაკლებს მოსკოვისაში. ამას მიუმატეთ არა ჩვეულებრივი გადასახადები ჯარის ადგილობრივ შესანახათ. პეტრემ უბრძანა გუბერნატორებს ჯარი არჩინეთ გუბერნიის ხარჯითო! მეტი ფული, მეტი რეკრუტი —აი რას თხოვდა პეტრეს მთავრობა დამონავებულ ხალხს. ეს დიდათ ხელსაყრელი დარჩა მაღალი კლასებისათვის, რომელნიც ამით თავის მდგომარეობას იმსუბუქებდენ და ამიტომ სწრაფათ «ევროპიელდებოდენ». ხალხი კი დაარბიეს. ყაზანის გუბერნიაში სამ წელიწადს მცხოვრებთა რაოდენობამ მოიკლო 33,295 ოჯახით; მოსკოვის გუბ. მოიკლო 24,8

პროც., ინგერმანლანდიაში (ტვერის, პსკოვის და იაროსლავის) 36,2 პროცენტი და სხ.. მთელ რუსეთში ორთაშუა რიცხვით 1710 წ. ირიცხებოდა 19.5 პროც. ნაკლები გადამხდელი ვინემ ოცი წლის წინეთ (ერთი მეხუთედი). სად წავიდა ეს ხალხი? ერთი ნაწილი გარბოდა, მეორე იხოცებოდა სახელმწიფო სამუშაოზე, მესამე რეკრუტში და სხ. *)

ევროპა რუსის ხალხს მოევლინა ჯალათათ და ზურგი შეაქცია მას. პეტრეს უპასუხეს რასკოლით. ერი გაირღვა კულტურულათ. ზედაფენი—თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია მეფეს გაყვა. დაბალი კლასები ძველ ადათ-ჩვეულებებს ჩაებღაუჭა. შედგა ორი რუსეთი, რომელთა შორის გაიმართა დუელი. «რეფორმამ გადაიარა ხალხის თავზე, როგორც ურაგანი, სწერს კლიუჩევსკი, ყველა შეაშინა, ყველასათვის დარჩა ამოცანა». არავითარი რეფორმა ხალხის სასარგებლოთ არ მომხდარა. მთელი რეფორმა მიმართული იყო ხელისუფლების გამაგრებისაკენ. და ის მართლაც აღწევს უაღრეს ძალას. დესპოტია გამკაცრდა, გაძლიერდა და ამა თუ იმ სახელმწიფო მოვალეობის ასრულება ყველას დააკისრა.

ასეთ სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში ამტყდარი სახალხო მოძრაობა ძალაუნებურათ ღებულობს ხასიათს ბუნტისას, ხოლო შინაარს უტოპიურს (მილიუკოვი, პლეხანოვი). და მართლაც, რაკი არავითარი დამოუკიდებელი ორგანიზაციული ძალა არ არსებობს, მაშასადამე არ შეიძლება ბრძოლის ორგანიზაციულათ წაყვანა, ცხადია, აქ მხოლოთ აფეთქება, არევ-დარევაა (სმუტა) შესაძლებელი. ცრუ დიმიტრი, სტენკა რაზინი, პუგაჩევი, ბოლოტნიკოვი—ყველა იყვენ იარაღი გამწარებული ხალხის, რომელთა მიზანი იყო «დახოცვა ბოიარების, ვაჭრების და მათი გაძარცვა». ცრუ დიმიტრიმ კიდევაც გაიმირჯვა, ტახტზე დაჯდა, მარა ხალხს აქედან არავითარი შეღავათი არ უნახავს, გარდა იმათისა, ვინც მოასწრო გაძარცვა და შინ წალება. სტენკა რაზინის მიზანი—კაზაკური წყობილების დამყარება—განუხორციელებელი ოც-

*) მილიუკოვი. სახელმწიფო მეურნეობა რუსეთში. 1892 წ.

ნება იყო, ვინაიდან მეომარი პოლკების წესები მიწათმომ-ქმედთა შორის ფეხს ვერ მოიკიდებდა. ვერც ერთი ეს დიდი მოძრაობა ვერ არყევდა საზოგადოებრივ ურთიერთობას და დესპოტიურ რეჟიმს, ვინაიდან არ მოქონდა არავითარი ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ფორმები. მოძრაობა თავდე-ბოდა სიმდიდრის დატაცებით, მისი ერთი ხელიდან მეორეში გადასვლით და პიროვნებათა «პოგრომებით». ოპოზიციური არისტოკრატია და ხალხის მღელვარება ვერსად ვერ შეერ-თდა და დესპოტიის წინააღმდეგ ვერ მიიმართა. მათ შორის ხიდი არ გადებულა. ყველა უკმაყოფილო ჯგუფი ცდილობდა თვით ყოფილიყო დესპოტიური ხელისუფლება და მიწები, ყმები და ჩინები ერიგებია.

დესპოტიური რეჟიმი იცვლება მხოლოდ გასული საუკუ-ნის დამდეგს, როგორც შედეგი ნაპოლეონის ძლევამოსილი ომების. მრავალჯერ დამარცხებული ალექსანდრე I ანდობს სპერანსკის მონარქიის კანონზე აგებას. ხდება პირველათ გა-ყოფა ხელისუფლების კანონმდებელ, აღმასრულებელ და სა-სამართლო ნაწილათ. ეს მიმდინარეობა შეაჩერა ნაპოლეონის დამარცხებამ. სპერანსკის მიერ დაწყობილი კანონები გა-მოქვეყნებულ და სავალდებულოთ იქმნა ნიკოლოზ მეფის მიერ. დესპოტია იღებს ფორმას კლასიური მონარქიისა; ის ემყარება კანონიერებას. დგება თავად-აზნაურთა და ვაჭართა საზოგადოებები ახალი უფლებებით. ყირიმის დამარცხება კარს უღებს ევროპის რადიკალურ იდეებს; აღებული სათა-ვად-აზნაურო კურსი ფართოვდება სახალხო რეფორმებით. ხელისუფლებას ეძლევა ფართო ბაზა. ალექსანდრე მესამე და ნიკოლოზ მეორე იხევენ უკან თავად-აზნაურობის გეგემონი-ისაკენ, რასაც არყევს 1905 წ. რევოლიუცია. საბოლოოთ ამარ-ცხებს 1917 წ. თებერვალი. ამით სარგებლობს მეორე რუსეთი და ის წელში იმართება ოქტომბერში. ისტორიული დუელი თავდება ევროპის დამარცხებით მთელი მისი პეტროგრადე-ლი ნაცოდვილევით და მოსკოვის რუსეთის აღდგენით მთელი მისი უფლებრივი და ეკონომიური ძალმომრეობით.

რუსეთის საზოგადოება, როგორც პოლიტიკური თვით-

მომქმედი და თვითმართველი, ჯერ კიდევ არ სჩანს. ის უნდა გამოჩნდეს მომავალში.

——

ამნაირათ, ჩვენ განვიხილეთ მოკლეთ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიული მსვლელობა და დავინახეთ მათი ერთიმეორისაგან სრული განსხვავება. აქ არის ორი გზა, ორი პროცესი, რომელნიც მიდიან პარალელურათ და თუ ხანდახან ერთმანეთს უახლოვდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ საჩქაროთ ხელახლა გაიყარონ. დასავლეთი ორჯერ შეეცადა რუსეთის გაევროპიელებას—ერთხელ კიევით, მეორეხელ პეტერბურგით, ორივე ცდა დამარცხდა. მოსკოვმა ორჯერ გაიმარჯვა. პეტრე დიდის სიტყვები—«რუსეთი ოდესმე ზურგს შეაქცევს ევროპასო»—ოქტომბერმა განახორციელა. მარა არის ეს უკანასკნელი სიტყვა? რასაკვირველია არა. მთელი აღმოსავლეთი დღეს სწრაფი ნაბიჯით მიექანება ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური ფორმებისაკენ. ოსმალეთი, სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი—ეს ათასი წლობით გაქვავებული ქვეყნები ამოძრავდენ და დასავლეთის საერთო ფერხულში ჩაებენ. რუსეთი მათ ჩამორჩა, უკან გადახტა. მარა ახლა ის ძალას იკრებს, რომ ისევ წინ გადახტეს.. ეს იქნება მკვიდრი, საფუძვლიანი და საბოლოო აქტი. პირველათ ახლა ეძლევა საშუალება მთელ ერს, ყველა მის სასიცოცხლო ნაწილებს მწყობრი ნაბიჯით, ერთათ ხელიხელ ჩაკიდებული გახდეს ევროპიული ხალხი, მივიდეს იქ, სადაც მთელი აზია მიდის. მაგრამ ის იმდენი თავისებურობით არის დატვირთული, რომ მისი გზა სწორი და ფართე ვერ იქნება. ძველი მოსკოვი მას მაგრათ იჭერს თავის კლანჭებში და არ აძლევს თავისუფალ გასაქანს. აღმოსავლეთი დასავლეთს ახირებულათ არ ჩაბარდება. ის კიდევ იბრძოლებს, ცას და ქვეყანას შესძრავს, სანამ ევროპის ემბაზში ამოეცლება. ეს არის რუსეთის საკუთარი ისტორიული პროცესი და მან უნდა მოინელოს ის. სხვა ერს ამაში არავითარი წილი არ უდევს. უცხო ხალხები ძალით, დაპყრობით არიან მიკრულნი ამ საზოგადოებაზე და მასთან ორგანიული კავშირი არ აქვთ.

14. დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა.

დემოკრატია ეტიმოლოგიურათ შესდგება ორი ბერძნული სიტყვიდან: დემოს—ხალხი, კრატოს—მართველობა და ნიშნავს ხალხის მართველობას.

ხალხი შედგება მრავალი კლასებისაგან, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისაგან. ის მთელი საზოგადოებაა. დემოკრატია ნიშნავს, მაშასადამე, ყველას მართველობას, საზოგადოების ხელისუფლებას. ის პრინციპიალურათ ენათესავება კლასიურ ძალაუფლებას და ეპირდაპირება ჯგუფურს. თუ პირველი კომპრომისია ერთი კლასის ფარგლებში, მეორე კომპრომისია ყველა კლასთა შორის. ამაზე უფრო სრული პოლიტიკური კომპრომისი შეუძლებელია. აქ დგება ერთი საკმაოთ ფართე იურიდიული კალაპოტი, სადაც ადამიანთა ინტერესები და სოციალური ურთიერთობა პოულობს შესაფერ ასპარეზს. ბრძოლა არსებობისათვის წარმოებს ლეგალურ ფორმებში ჩვეულებრივი საქმიანობის შეუჩერებლათ.

სამგვარი დემოკრატია—პრიმიტიული, კლასიკური და თანამედროვე—არსებითად ერთი და იგივე ბუნებისაა. სამივე აგებულია მონაწილეთა უფლებრივ თანასწორობაზე, მოქალაქეთა პოლიტიკურ ბატონობაზე. მათი კლასიური საფუძველი სხვადასხვანაირია; პირველია აგებული პატრიარქალურ, ნათესაურ ურთიერთობაზე, მეორე მონობაზე, მესამე პროლეტარიატზე. თავისი შინაარსით ისინი დიდათ განსხვავდებიან. მაგრამ პოლიტიკურათ, იურიდიულათ ერთი მეორის გაგრძელება და განმეორებაა. წინეთ დემოკრატიიდან გამორიცხული იყვენ მონები. დღეს კი ის შეიცავს ყველა მცხოვრებთ. დემოკრატიის ფარგალი გაფართოებულია. მარა ამით არ იცვლება მისი თვისება, მისი ხასიათი და მუშაობა ფარგლის შიგნით. აქ მეფობს თანასწორობა და სწორუფლებიანობა.

დემოკრატიის საუკეთესო დახასიათება მოგვცა ათინის მოღვაწემ პერიკლმა, რაც შეიძლება ჩაითვალოს ყველა დახასიათების დედათ. ის ასე მიმართავს ხალხს ერთ თავის სიტყვაში:

«ჩვენ მართველობას ეწოდება დემოკრატია იმიტომ, რომ ხელისუფლება მომდინარეობს არა მცირე რიცხვისაგან, არამედ ხალხისაგან. კერძო პირნი ურთიერთ დავაში სარგებლობენ კანონის წინაშე თანასწორობით. პატივი შეკავშირებულია ნიჭთან. არჩევანი პირად ღირსებასან და არა მდგომარეობასან. სიღარიბე არ აბრკოლებს არავის იყოს არჩეული, თუ კი სახელმწიფოსათვის რაიმე სამსახურის გაწევა შეუძლია».

«ჩვენ უფარდებთ საზოგადო საქმეებს არსებულ კანონებს მათი პატივისცემის გამო. ჩვენ ვემორჩილებით მართველთ ვინც უხდა იყვენ იგინი და ვასრულებთ არსებულ კანონებს, განსაკუთრებით გამოცემულთ ღარიბთა სასარგებლოთ, ვემორჩილებით ისეთ კანონსაც, რომელიც დაწერილი არ არის, მარა რომლის დარღვევა გამოიწვევს საყოველთაო სირცხვილს.»

«ჩვენი ქალაქი ღიაა ყველასათვის. არავითარი კანონი არ უკეტავს მას უცხოელთ, არ უკრძალავს მათ აქ ისწავლონ, გასართობებს დაესწრონ. ჩვენ არ გვეშინია იმის, რომ ჩვენმა მტრებმა იცოდენ ჩვენი ამბავი, საიდუმლო არაფერი გვაქვს. ჩვენ ვემყარებით უფრო ჩვენ მამაცობაზე, ვინემ წინდაწინ მომზადებაზე და ხერხზე.»

«არავის არ მიაჩნია სირცხვილათ თავისი სიღარიბე; სირცხვილია მხოლოდ არ იშრომო სიღარიბის გასადევნათ. ჩვენში ერთ და იმავე პირს შეუძლია იმუშაოს თავისთვის და საზოგადოებისათვისაც. ფიზიკურათ მომუშავეთ ნაკლებათ არ ესმით საზოგადო ინტერესები. მხოლოდ ჩვენ მიგვაჩნია მოქალაქე, რომელიც მონაწილეობას არ იღებს საზოგადო საქმეში, არა მარტო მოცლილ კაცათ, არამედ უსარგებლო არსებათაც. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საჯარო სიტყვა ვნებდეს მოქმედებას, პირიქით საზარალოა, არ შეისწავლო ასეთი სიტყვიდან ის, რის გაკეთებაც გაგიზრახავს» და სხ. და სხ. *)

ერთი სიტყვით, მოქალაქეთა თანასწორობა, აზროვნების

*) თუკიდიდის ისტორია, წიგნი 2.

თავისუფლება, შრომის პატივისცემა, ზარმაცობის განდევნა, საიდუმლო პოლიტიკის უარისყოფა შინ და გარეთ, პირადი ღირსება—აი დემოკრატიის ნამდვილი თვისება. ხოლო მთელი ეს შენობა დაყრდნობილია ერთ დებულებაზე—კანონის საყოველთაოთ ბატონობაზე. არც ერთ წყობილებაში ეს ბატონი ისე ფართეთ და საფუძვლიანათ არ ბრძანებლობს, როგორც დემოკრატიაში. რაკი აქ კანონმდებელია ხალხი, ხოლო ხალხის მუდმივი ინტერესია თვითნებობის მოსპობა, მოულოდნელი ხარჯის და სასჯელის განდევნა, გაუთვალისწინებელი, უცაბედი ტვირთის თავიდან აშორება, ცხადია კანონით წინდაწინ განსაზღვრა მოქალაქის უფლება-მოვალეობის აუცილებელია. ყველაზე უფრო ეს საჭიროა ღარიბი კლასებისათვის, ვინაიდან მდიდარი თავის ქონებითაც მოიპოვებს მფარველობას და გამარჯვებას. კანონთა არევ-დარევა, უკანონობა გაბატონებულთა ინტერესია, ამ ღვრია წყალში ისინი ადვილათ თევზაობენ. დამორჩილებულნი კი, პირიქით, მოითხოვენ სრულ კანონიერებას და მის სასტიკათ დაცვას. ამიტომ დემოკრატიაში, მთელი პოლიტიკური მუშაობა ტრიალებს კანონის გამოცემის და მისი ასრულების ირგვლივ. კლასიური და პარტიული ბრძოლა უმთავრესათ ამ ნიადაგზე წარმოებს.

ამნაირათ, დემოკრატიის ძირითადი პრინციპია სრული პოლიტიკური კომპრომისი, სრული კანონიერობა. ყველა დანარჩენი მისი თვისება მეორე ხარისხოვანი, წარმავალი მოვლენაა. პარლამენტი, სამინისტრო, სასამართლო დაწესებულება მხოლოდ ფორმაა მთავარი პრინციპების გამოსახავათ. ამ გზით ახორციელებს ხალხი თავის სუვერენობას. მარა ეს ფორმა სრულიად არ არის სავალდებულო, სამიდღემჩიო და უცვლელი. პირიქით, ის ცვალებადია. პარლამენტი არ იცოდა ძველმა დემოკრატიამ, ახლაც ზოგი დემოკრატია მოკლებულია პარლამენტარულ რეჟიმს (შვეიცარია). ასევეა სამინისტროს ისტორიაც. სასამართლოც განიცდის ცვალებადობას. ძველათ, ბევრ დანაშაულობას თვით ხალხი ასამართლებდა ფორუმზე. ფორმები ხვაფერდება დრო და გარემოების მიხე-

დვით, ხოლო საფუძველი, შინაარსი კი რჩება. დემოკრატია მუდამ ხალხის ბატონობაა, რა დროს და რა სახითაც უნდა ამუშავდეს იგი. სადაც ხალხი არ ბატონობს, იქ არ არის დემოკრატია, თუნდაც იქ ყველა კონსტიტუციური ფორმები ბატონობდენ. თანამედროვე პოლიტიკური პრობლემა მდგომარეობს არა დემოკრატიის გაუქმებაში, ეს ბოლშევიკ-ფაშისტური ტეზისია, არამედ მისთვის შესაფერი ფორმების მიცემაში. ხალხის მართველობის აწყობა მუდამ საჭირბოროტო კითხვათ იყო გადაქცეული, მუდამ ის ეხეთქებოდა ათასნაირ დაბრკოლებებს და ხშირათ იფუშებოდა. რატომ?

15. მართველობა დემოკრატიაში.

ყველაზე უფრო ძნელი სამართავია დემოკრატია.

დემოკრატია ეყრდნობა მოქალაქეს ანუ მოქალაქეთაგან შემდგარ საზოგადოებას. მოქალაქე ეწოდება ისეთ ადამიანს, რომელიც თან ატარებს პოლიტიკურ სუვერენობას. ის აღჭურვილია პოლიტიკური უფლებებით და იღებს მონაწილეობას ქვეყნის მართვაში. მცხოვრები მოკლებული ასეთ პოლიტიკურ ნიშანს მოქალაქე არ არის, ის ქვეშევრდომია, მონაა, ყმაა—ერთი სიტყვით უბრალო მოსახლე. საბჭოთა რუსეთში მოქალაქეა კომუნისტი. მოქალაქის არსებობა მოითხოვს მისი ორგანიზაციების, პარტიების, კავშირების და სხვა სამოქმედო ორგანოების არსებობას. მოქალაქე მოკლებული ამ უფლებებს—ქვეშევრდომია. საზოგადოება და მოქალაქე დემოკრატიის საფუძველია, ბრბო და ქვეშევრდომი საფუძველია დემაგოგიის და დესპოტიის.

დესპოტიაში მართველი ხალხზე მაღლა დგას, ის მიუწვდენელ მწვერვალზეა, საიდანაც ბრძანებლობს მორჩილებზე, რასაც ესენი განუსჯელათ ასრულებენ. მართველობა ადვილია.

დემოკრატიაში მართველი და სამართავი ერთი და იგივე კრებულია ერთი და იგივე ხალხია. აქ მოქალაქე უბრძანებს

თავის თავს, კანონებით საზღვრავს თავის მოქმედებას. აქედან იბადება მთელი სიძნელე. ბრძანება ყველას ესიამოვნება, მორჩილება არავის ეპიტნავება. ვთქვათ მოქალაქემ არ უბრძანა ან გლახათ უბრძანა თავის თავს, ხალხი არ დაემორჩილა მის მიერ არჩეულთ ან მრუდეთ დაემორჩილა, ამ შემთხვევაში დემოკრატია ირღვევა, საზოგადოება ირყევა. აი ამ დაუდეგრობით სარგებლობს მტერი—მონარქია, დემაგოგია, ტირანია და დემოკრატიის ნანგრევზე თავის გამარჯვებას დღესასწაულობს.

ცხადია, დემოკრატიის მართველობა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ ხანაში, საამისოთ მომზადებულ პირობებში. ხალხს თავის ზურგზე უნდა ქონდეს გამოცდილი მართველობის სხვა ფორმები და ამით გაწრთვნილი და ამაღლებული ის დემოკრატიისათვის მომზადებული.

მოქალაქე ციდან არ ვარდება. ის იქმნება ისტორიის დუღაბში. ადამიანს ურჩევნია სხვას ემორჩილებოდეს, ვინემ თავის თავს, ვინაიდან პირველ შემთხვევაში მისგან ითხოვენ მხოლოდ ასრულებას, მეორე შემთხვევაში საკუთარ ნებისყოფას, თვითმოქმედებას, თვითგარჯილობას. თუ ეს თვისებები მას არ აქვს, საიდან შეუძლია იყოს ის სუვერენი. ასეთი-სამკაული შეიძინება ხანგრძლივი ბრძოლით, ისტორიული გამოცდილებით. ამას კი ეპირვება შრომა, განძრევა, რასაც ყველა გაურბის. შრომის დედაა აუცილებლობა, და თუ ეს არ არის, ფიზიკური და სულიერი სიზანტე ბატონდება.

პრიმიტიული დემოკრატია მოკლებულია დემოკრატიის ამ სიძნელეს. აქ მუდმივი მთავრობა არ არსებობს. საერთო დადგენილებას ასრულებენ გვარების უფროსები, ხევის თავები.

კლასიურ საზოგადოებაში ხდება მკაცრი გაყოფა ხალხს და ხელისუფლებას შორის. ესენი ერთი-მეორეს ეპირდაპირება, ორი მოწინააღმდეგე ბანაკია. ამათი დაახლოვება და ერთ სათავეთ გადაქცევა დემოკრატიის მიზანია. ამ პროცესს ხალხი თავიდანვე გაურბის და მხარს უჭერს მის მტერთ. ქვეშევრდომობა ურჩევნია. და თუ მაინც ის პირს იბრუნებს დემო-

კრატიისაკენ—ეს იძულებით, აუცილებლობით, სხვა გამოსავალი ვერ მონახა.

დემოკრატიული მართველობა ყველა მართველობის უკანასკნელი რგოლია.

ისტორიამ გაიარა მართველობის ყველა საფეხური და ბოლოს მიადგა დემოკრატიას. გავლილია მეტათ გრძელი გზა, გზა ტანჯვის და მწუხარების. ყველა ქვეყანაში ძირმაგარია მონარქიული და დესპოტიური ტრადიციები. დემოკრატია ევროპაში სულ ახალი ხილია, ნახევარი საუკუნის ტრადიციაც არ აქვს და რა გასაკვირალია ის ირყეოდეს და იჩოქებდეს. მას აღორძინებიდანვე მოწინააღმდეგენი გამოუჩნდენ არა მარტო ძველის მოციქულნი, არამედ ახალის მქადაგებელნიც. საკმარისია მოიგონოთ პრუდონის და მის მიმდევართა, ანარქისტების მოძღვრება, რომელნიც პიროვნების თავისუფლების სახელით დემოკრატიის დანგრევას ქადაგობდენ. უეჭველია პიროვნების და მართველობის ურთიერთშორისი დამოკიდებულება დიდი პოლიტიკური პრობლემაა. მარა მისი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიის საზღვრებში და არა მის გარეთ, ვინაიდან აქ, ამ გარეთ, იწყება დესპოტია, პიროვნების და თვით საზოგადოების ერთიანათ ჩაყლაპვა გაბატონებული ჯგუფების მიერ. ბოლშევიზმი და ფაშიზმი ამის საქვეყნო მაგალითია.

კლასიკურ დემოკრატიამ განავითარა ყველა თავისი ფორმები, მოგვცა ის, რის მოცემა მას იმ პირობებში შეეძლო. თანამედროვე დემოკრატია ახალფეხამდგარია, მიღწეულია მხოლოდ მისი პირველი ძირითადი ეტაპი, ხალხის სუვერენიტეტი, ხოლო ამის გარეგანი გამოხატულება, მისი პოლიტიკური ფორმები ერთხელდასამუდამოთ ბოძებული არ არის და არც შეიძლება იყოს. ნამდვილი კლასიკური დემოკრატია მერმისის საქმეა. ის მიდის ამ მხრით ბორძიკ-ბორძიკ, მიხვევ-მოხვევით. მტერი, ძველი აღთქმის ანარეკლი, უთვალავია. მაგრამ მას ამ მხრით არ მოელის საშიშროება, ბრძოლით მას გადალახავს: ამ გარეშე მტერთა დამარცხება ადვილია.

დემოკრატიის მთავარი მტერია მისი შინაგანი წინააღმ-

დეგობანი, მის საშოში დაბადებული განხეთქილებანი. ამ დაბრკოლებათა დაძლევა თავდებია მისი საბოლოოთ გამტკიცების და საყოველთაო, მსოფლიო წყობილებათ გადაქცევის.

რა დაბრკოლებებია ეს?

16. სახელმწიფო დემოკრატიაში.

დემოკრატია დაფუძნებულია მოქალაქეთა თვითმართველობაზე. აქ ისინი არიან შეკავშირებულნი ერთ პოლიტიკურ ერთეულათ საერთო საქმის ერთათ წასაყვანათ. რაკი ეს კავშირი ნებაყოფლობითია, თავისუფლათ გამოთქმული სურვილის გამოხატულებაა, ცხადია სახელმწიფოს შეგნება და მისი საჭიროება უდაო. საყოველთაოთ მიღებული უნდა იყოს. ვისაც თავისი სახელმწიფო არ სურს, მას არც თავისი ბატონობა, თავისი მართველობა ესაჭიროება და მის დასაცავათ ძალას არ დახარჯავს. ერს, ხალხს არ შეუძლია გაბატონდეს, გახდეს დემოკრატიათ თუ არა თავის საკუთარი ტერიტორიის საზღვრებში, თავის სახელმწიფოში. მაშასადამე, დემოკრატიის მიუცილებელი თვისებაა სახელმწიფოებრივობა, ხალხის სრული სუვერენობის გამოხატულებაა სახელმწიფოებრივ ერთეულათ გადაქცევა. სადაც ამის შეგნება სუსტია, იქ დემოკრატიის დარღვევა ხდება თვით სახელმწიფოს დარღვევით. პატარა ათინის და სპარტის მიერ სპარსთა მილიონიანი ჯარების დამარცხება აიხსნება მხოლოდ ბერძენთა უაღრესათ სამოქალაქო განვითარებით. უცაბედათ მოპოვებულ დემოკრატიას, უბრძოლველათ მიღებულ თავისუფლებას მოუმზადებელი ხალხი არ აფასებს და მასზე ადვილათ ხელს იღებს.

დემოკრატიაში ბრძოლა სახელმწიფოსათვის ნიშნავს ბრძოლას ხალხის ბატონობისათვის. მაგრამ აქ არის ბრძოლა მეორენაირიც—თვითეული მოქალაქის არსებობისათვის. პირადი ინტერესი, ოჯახის მოთხოვნილებანი უნდა თავსდებოდეს სახელმწიფოს დაცვის ფარგლებში. ე. ი. დემოკრატიის შერჩენაში პირადათ უნდა იყვენ დაინტერესებული მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა. როცა პელეპონეზის ომში ათინა

დამარცხდა და მცხოვრებნი იძულებული გახდენ ქონება დაეგდოთ მტრის ამარა და გემებზე გახიზნულიყვენ, მთავრობამ გამოაცხადა: ტერიტორია დავკარგეთ, მარა ხმალს ქარქასში არ ვაგებთ, ომი სახელმწიფოსათვის გძელდებაო.

პერიკლმა მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვებით:

«ჩემი აზრით თვითეული მცხოვრების ინტერესი მოითხოვს უფრო მძლავრ სახელმწიფოს, ვინემ კერძო პირთა კეთილდღეობას დაგვირგვინებულს უმწეო მწვერვალით. დანგრეულ სამშობლოში ინგრევა მდიდარის ქონებაც, ხოლო აყვავებულ სამშობლოში ღარიბებსაც კი მეტი საშუალება აქვთ თავის ხსნის. ამიტომ სახელმწიფოს შეუძლია გადარჩეს როცა მისი წევრები ზარალდებიან, მაშინ როდესაც ამათ სრულიად არ შეუძლიათ აიტანონ სახელმწიფოს დაქცევა... როცა დგება აუცილებლობა ან უცხო უღელი ან ხსნა საფრთხისაგან, საძრახისია გაქცევა ამ განსაცდელისაგან და არა მისი მიღება. თქვენი ნამდვილი საუნჯეა ეს ფლოტი და არა სახლები და მამულები, რის დაკარგვას ასე დასტირით. ნაცვლათ ამ ზედმეტი მწუხარებისა დაკარგულისათვის, იცოდეთ რომ დაკარგეთ არა ნამდვილი სიმდიდრე, არამედ სიმდიდრის გარეგანი მოვარაყება. იცოდეთ რომ თავისუფლება, თუ მას ვიხსნით საერთო ძალღონით, ადვილათ აღგვიდგენს დაკარგულ ქონებას, ხოლო თუ დავმორჩილდით უცხოელთ, დავკარგავთ იმასაც, რაც დაგვრჩა...» (იქვე.).

თავისუფლების ეს შესანიშნავი აპოთეოსი, მისი ცხოვრების ქვაკუთხედათ გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიაში, დემოკრატიის მიერ. ის მართალია დემოკრატიულ სახელმწიფოში. არა-დემოკრატიულ სახელმწიფოს დაცვა ადვილია, აქ ხალხს ზევიდან უბრძანებენ და ძალით აბრძოლებენ, მეომარი სისხლს ღვრის, რისთვის არც კი იცის. რაც ნაკლებათ შეგნებულია, მით უკეთესი მეომარია. ბრიყვი ხალხი დესპოტიის სარბიელია. დემოკრატიაში კი პირიქით, თვით ხალხი უბრძანებს თავის თავს სისხლი დაღვაროს, ქონება გაიღოს, ყველა ზომა მიიღოს სახელმწიფოს დასაცავათ. ეს კი მას შეუძლია როცა დარწმუნებულია კერძო და საზოგა-

დო ინტერესების ერთიგივეობაში, ე. ი. როცა ის მეტათ განვითარებული და პოლიტიკურათ გაწრთვნილია. ასეთი რწმენა შენდება თვით სახელმწიფოს ფაქტიურ დამოკიდებულებაზე კერძო პირისადმი. მძლავრი მართველობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მძლავრ პიროვნებას, მის თავისუფლებას და მოღვაწეობას. პირიქით, სახელმწიფო მფარველია მოქალაქის უფლებების, განსაკუთრებით სუსტი მოქალაქის, რომელიც თვითონ საკუთარი ძალით თავს ვერ იფარავს.

ამნაირათ, სახელმწიფო საჭიროებს ძალას თავის დასაცავათ, მოქალაქე საჭიროებს თავისუფლებას, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის შესარჩენათ. ამ ორი მომენტის შეთავსება დემოკრატიის მძიმე პრობლემაა. ამ ნიადაგზე მუდამ დავაა სხვადასხვა პოლიტიკურ შკოლას შორის. ინდივიდუალიზმი და ეტატიზმი, პიროვნება და სახელმწიფოებრიობა დასაბამიდან ერთმანეთს ებრძვიან. ერთი სახელმწიფოს სწირავს პიროვნებას, მეორე პიროვნებას სწირავს სახელმწიფოს, უსაზღვრო თავისუფლება, უსაზღვრო ხელისუფლება—აი ამათი მიმართულება. მათ შორის მიიმართება სოციალიზმი და თვითეულს თავისას ანიჭებს. არც პირადი თვითნებობა, არც მართველობის ძალმომრეობა, თავისუფალ ადამიანთა თავისუფალი შეკავშირება—აი საითკენ გვითითებს ის.

სახელმწიფოს და კერძო პირის ინტერესთა შეთავსება განსაკუთრებით გაძნელებულია დიდ სახელმწიფოში. ტერიტორიის სივრცეს დემოკრატიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

დესპოტია დიდხანს მძვინვარებდა დიდ სახელმწიფოებში. პატარაში კი ჩქარა ინგრეოდა. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ დიდი სივრცე ჩვეულებრივათ დასახლებულია სხვადასხვა ტომებისაგან, რომელთაც ერთიმეორის არა გაეგება რა და მაშასადამე მათი თავის სასარგებლოთ ამუშავება მთავრობას ადვილათ ეხერხება. აქ განსხვავება კულტურულათ კუთხეთა შორის დიდია, ჩამორჩენილი ხდება იარაღათ წინ წაწეულის წინააღმდეგ. პატარა ტერიტორიის მცხოვრებნი კი ემსგავსებიან ერთ ოჯახს, ერთ თემს სადაც ნაციონალური და

კულტურული წინააღმდეგობანი მომსპარია. საზოგადოებრივი კავშირი ძლიერია. აქ ერთმანეთის ცნობა, მეგობრობა, ნათესაობა, მეზობლობა გაადვილებულია. ამიტომ საერთო პირის და ლხინის შეგნება ყველასათვის ხელმისაწვდომია. კაუცკის სიტყვები—შვეიცარია შემთხვევით არ გახდა პირველათ დემოკრატიული სახელმწიფოვო—ხატავს ღრმა ისტორიულ მსვლელობას. ასეთ პირობაში კერძო პირი იმსჯვალება მისი პატარა სახელმწიფოს ინტერესებით, მისი სვე-ბედით, რომლის მთელი მოქმედება მის თვალწინ მუდამ გადაშლილია. პერიკლი ყველა მოქალაქეს პირადათ იცნობდა. არჩევა წარმოებს კანდიდატთა საფუძვლიანათ გაცნობით. მთელი მისი ავლა-დიდების კარგათ ცოდნით. თუ აქ ხალხი მართლა დემოკრატია, თუ ის ნამდვილი მოქალაქეა, მზათაა იყოს მართველიც და მორჩილიც, ბრძანებელიც და ამსრულებელიც. არჩევანი საუკეთესო შედეგებს იძლევა. მეზობელი მეზობელს შესაფერ ალაგს მიუჩენს. ერთი სიტყვით, რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, მით უფრო ადვილია მისი მოწყობა. ამერიკაში დემოკრატია შეუძლებელი იქნებოდა, რომ იქ პატარა სახელმწიფოებით არ დაეწყოთ. ყველა დიდი სახელმწიფო იმპერიალისტურია, სხვისი წაგლეჯის მაძიებელი. რეაქციონური გადატრიალება აქ ხშირი სტუმარია. ნამდვილი, კლასიკური დემოკრატია მოითხოვს პატარა ტერიტორიას, პატარა სახელმწიფოთ და მათ შორის მშვიდობიანი მეზობლობის და მეგობრობის დამყარებას.

17. დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი.

სახელმწიფო დემოკრატიაში არის ძლიერი იმდენათ რომ თავი დაიცვას. მარა არა იმდენათ, რომ მოქალაქე პოლიტიკურათ და ეკონომიურათ გაძარცვოს. მოქალაქე არის ძლიერი იმდენათ, რომ შესძლოს თავის თავისუფლების შერჩენა, მარა არა იმდენათ რომ მან სახელმწიფო დაარღვიოს.

აი ამ ორი სათავის ერთ სახელმწიფო უფლებათ გადაქცე-

ვა არის დემოკრატიის საზღვარი. რომლის იქით გადაცდენა კატასტროფით თავდება.

ამ ერთობის დაცვა და მით დემოკრატიის არსებობის უზრუნველყოფა ძნელია რევოლიუციურ ხანაში, ახალ დაბადებულ დემოკრატიაში. აქ ხდება მოპოვებული თავისუფლების ზედმეტათ შეფასება, მისთვის ყოვლად შემძლებლობის მინიჭება და მართველი აპარატის საპრაპაგანდო აპარატისათვის დამსგავსება. ამით სარგებლობს მტერი, დესპოტიის მოტრფიალენი და დემოკრატიაზე იერიშით მიდიან. ასე დაიღუპა საფრანგეთის და გერმანიის დემოკრატია 1849 წ., რუსეთის—1917 წ. ოქტომბერში და მრავალი სხვა. ფრანკფურტის პარლამენტის ბრეკვიალა სიტყვებმა, ლამარტინის ბულბულის ენამ და კერენსკის ფრაზებმა ვერ ალაგმა მოწინააღმდეგენი. ვერ მოხიბლა მ[illegible]ვარენი. აქ მეფობს ეშვენიერი სიტყვა. არ არის მეჩრელი საქმე.

რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ერთია—გამარჯვებული ხალხი მოითხოვს ნაყოფის მიღებას, მეთაურები კი მას უმასპინძლდებიან დაპირებებით. ოპოზიციის დაშლა, რევოლიუციის გამარჯვება შეიძლება არა კეთილი განზრახვებით. არამედ კეთილი საქმეებით. რეფორმებით. ეს ნიშნავს ძალით ჩარევას სოციალურ ურთიერთობაში, მართველობის პროპაგანდისტულ აპარატიდან იძულებითი აპარატათ გადაქცევას. მაგრამ ძველი წყობილების ძალმომრეობასთან ბრძოლაში აღზრდილი დემოკრატია ერიდება ძალის ხმარებას. უარყოფს მოქალაქის თავისუფლების შეზღუდვას და რჩეობს მომრიგებელის როლში დარჩენას. დემოკრატია რაც უფრო უახლოვდება შეძლებულ კლასებს. მით უფრო მომბრეა თავისუფლების და წინააღმდეგი სოციალური რეფორმების და პირიქით, რაც უფრო ის ეკავშირება ღარიბ კლასებს მით უფრო მეტათ აფასებს რეფორმებს და ნაკლებათ თავისუფლებას. ეს ისმის —თავისუფლება ხომ არ გაგვაძღებსო. ეს კი—რეფორმა თავისუფლებას მართმევსო. აი ამ ორ მოპირდაპირე ტალღებში იხლართება რევოლიუცია და იღუპება. საკმარისია ხალხს მისცენ რეაქციონერებმა და დემაგოგებმა სრულიად ფანტას-

ტიური დაპირებანი, რომ მოპოვებული თავისუფლება დამარცხებულ ყმობაზე გადასცვალოს. ამ საშუალებით მკვიდრდება ტირანია და რესტავრაცია.

დემოკრატიის საზღვარის დაცვა და მის საფუძველზე ღრმა ცვლილების მოხდენა შესძლო მხოლოდ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ და ამიტომ ის რჩება სამაგალითოთ ყველა ქვეყნის და დროისათვის. ამ ტიპის მოვლენას ეკუთვნის რევოლიუციის მსვლელობა საქართველოში. ჩვენში დემოკრატიის სამი წლის საქმიანობამ ძირიანათ ამოაგდო რეაქცია და დემაგოგია. დესპოტიური წესების გახარება შეუძლებელია. როგორც საფრანგეთმა არ მოისვენა მანამ, სანამ საბოლოოთ არ მოეწყო დიდი რევოლიუციის პრინციპებზე, ისე საქართველო არ მოისვენებს მანამ, სანამ არ მოეწყობა 26 მაისის საფუძველზე.

დემოკრატიული მართველობის გამარჯვება, მისი წესების გატარება ნიშნავს სწორი პოლიტიკური კურსის აღებას. საშუალო ხაზზე შემაგრებას. დემოკრატიის საფუძველი—ხალხის სუვერენიტეტი—აქ უკვე ღრმათ ჩაყრილია და მასზე შესაფერი შენობა აგებულია. ასეთ პირობაში იწყება საზოგადოების ნორმალურათ განვითარება, კლასთა ბრძოლის ლეგალურათ წარმოება. დემოკრატიის სვე-ბედი დაკავშირებულია აი ამ ბრძოლასთან, ძალთა ახალ განწყობილებასთან და მიხვევ-მოხვევასთან. სწორეთ დღეს დემოკრატიის ნიადაგზე დიდი ბრძოლაა გამართული ევროპაში სოციალურ კონსერვატორებს და სოციალურ რეფორმატორებს შორის. საზოგადოება გადავარდება უკან ფაშისტურ რეაქციაში თუ წავა წინ სოციალურ აღორძინებისაკენ დამოკიდებულია ამ ბრძოლის შედეგებზე. დემოკრატია ადვილი დასაცემია თუ მას გზა გაუმრუდდა და ფართე მასა გადაუდგა. არა ერთი და ორი დემოკრატია დაცემულა.

18. როგორ ეცემა დემოკრატია.

არისტოტელის აზრით, დემოკრატიაში რევოლიუცია არ ხდება, ვინაიდან ხალხი თავის თავს არ უჯანყდება. და მართლაც, თუ ხალხის სუვერენიტეტი ფაქტია, სახალხო წყობილება დამკვიდრებულია, მისი წაქცევა რევოლიუციური გზით შეუძლებელია. აქ შეიძლება იყოს მოძრაობა ამა თუ იმ ბოროტების წინააღმდეგ. ნაკლულევანებათა მოსასპობათ, ახალი რეფორმების შემოსაღებათ და სხ., მარა თვით საფუძველს დემოკრატიისას საზოგადოება არ ებრძვის. დემოკრატია დემოკრატიას არ მტრობს. საშიშროება მოდის დემოკრატიის მტრებისაგან, სხვა პოლიტიკური სისტემის მომხრეთაგან. ესენი მართალია დამარცხდენ. მარა არ გამქრალან. თავისუფალი წყობილებით ფართეთ სარგებლობენ, ირაზმებიან და ხშირათ უკმაყოფილო ხალხის მეთაურებათ გამოდიან და მართველობას ეპატრონებიან. ხდება დემოკრატიის დაცემა რეაქციონური საშუალებით, მაგალითი აუარებელია.

სირაკუზმა აირჩია მართველნი დიქტატორული უფლებით საგარეო მტერთან საბრძოლველათ. მათ კი ძალა მოაბრუნეს შიგნით, ხალხის სუვერენიტეტის წინააღმდეგ და შემოიღეს ტირანია. პომპეიმ გააუქმა სულას მიერ ხალხის უფლებათა შეზღუდვა. ხალხმა მას ჩააბარა ეზენიესი ძალა-უფლება. დემოკრატია გაუქმდა. პომპეის გზას გაყვა ცეზარი, ცეზარისას ნაპოლეონი. ბონაპარტიზმს ხალხი ადასტურებს.

როგორც ხედავთ, დემოკრატიაში შინაგანი ბრძოლა ხდება კვარცხლბეკათ მის მტერთა ასამაღლებლათ და გასაბატონებლათ. ამ მიმდინარეობის უკანასკნელი ამოძახილია ბოლშევიზმი და ფაშიზმი. ესენი სარგებლობენ თავისუფალი ხალხის გაჭირვებით, პირველი ომით, მეორე კომუნისტური პროპაგანდის გაძლიერებით, და იმის მაგიერ რომ ერს დაეხმარონ ამ ბოროტების დაძლევაში, თვით აჯდებიან მას ზურგზე, ართმევენ ყველა უფლებას და ანგრევენ მის მართველობას.

დემოკრატიის მტერნი თავის მიზნის მისაღწევათ მიმარ-

თავენ ხშირათ გარეშე ძალას, როცა შინ ნიადაგს ვერ პოულობენ. დემოსთენის სახელოვანი სიტყვები მაკედონიის მეფის ფილიპეს წინააღმდეგ («ფილიპიკები»), იყო იმავე დროს მიმართული თავის ქვეყნის რეაქციონერთა წინააღმდეგ, რომელნიც ჩუმათ ფილიპეს ეპატიჟებოდენ. მათ შესძლეს დემოკრატიის მოსპობა გარეშე მტერთა საშუალებით. ჯერ ალექსანდრე მაკედონელის და შემდეგ რომაელების შემოყვანით. ვენგრიის დემოკრატია 1848 წ. და საქართველო 1921 წ. დაანგრია ერთმა და იმავე გარეშე ძალამ—რუსეთის დესპოტიამ, ორივე ქვეყნის დამარცხებული პარტიების მოპატიჟებით. დემოკრატია არასოდეს არ მიმართავს უცხო ხმალს თავის პრინციპების გასამარჯვებლათ. ის მოდის რევოლიუციით, ხალხის გულიდან და აგებს თავის ბატონობას შინაგან ძალთა განწყობილებაზე. ხიშტით დემოკრატია არსად დამყარებულა. ხოლო დანგრევით კი ბევრი დანგრეულა. ეგრეთწოდებული «საპროპაგანდო ომი» (1793—94) დაწყებისთანავე დამარცხდა.

დემოკრატიის დაცემა ხდება ამ შემთხვევაშიაც, როცა მის ირგვლივ სხვა სისტემის წყობილებაა და მასზე გავლენას ახდენს, კლასიკური მაგალითია ურიასტანი. აქ ბატონობდა დემოკრატია მოსამართლეთა მეთაურობით. უზენაეს მეფეთ ითვლებოდა ღმერთი იეგოვა. მეზობელი სახელმწიფოები წარმოადგენდენ დესპოტიას. და აი ერთ დღეს ხალხი მიდის მღვდელმთავარ სამუილთან და სთხოვს მეფობის შემოღებას. დიდის დავიდარაბის შემდეგ ისიც თანხმდება, მხოლოდ წინდაწინ აცნობს თუ რას ნიშნავს მეფობა. სამუილი ეუბნება:

«მეფე წაგართმევს ვაჟებს და ამუშავებს თავის მინდვრებზე და სახელოსნოებში; წაგართმევს ქალიშვილებს და ამუშავებს სამზარეულოში, საპურეში, საპირფარეშოში მეფე მოგტაცებს ყანებს, ვენახებს, ბაღებს და მათ დაურიგებს თავის მოსამსახურეთ. დაადებს გადასახადებს თქვენ ჯოგებს და თქვენ გახდებით მისი მონა» და სხ. (დაბადება).

ხალხი არ შედრკა და გაიძახოდა: ჩვენც ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც ყველანიო. მეფობა აღორძინდა. დემოკრატია დაეცა.

დემოკრატია ეცემა მაშინაც. როცა სამხედრო ძალას ენიჭება ფართო ასპარეზი და უპირატესობა. რაიცა ხდება ომების და დაპყრობის წყალობით, შემტევი დემოკრატია მუდამ წაგებულია. გამარჯვებული სარდალი იმარჯვებს თავის ხალხზედაც და ამყარებს თავის მართველობას. ცეზარს აუკრძალეს კანონით და ფიცით რუბიკონს გადმოღმა ჯარების გადმოსხმა. მარა ეს «ნაგლეჯი ქაღალდი» ვერ სცვლის რეალურ ძალთა განწყობილებას, ცეზარი მას ფეხქვეშ თელავს და რომს ეპატრონება. სარდალი ნაპოლეონი ხდება საფრანგეთის იმპერატორი. დემოკრატია უნდა იყოს პაციფიური და ანტიიმპერიალისტური. ერთი უადგილო დაპყრობაც კი ბოლოს მოუღებს, თუ შეძენილი ტერიტორია საკმაოთ დიდია ან და ჩამორჩენილი, კოხერვატიულათ განწყობილია. დემოკრატია ვერ ითმენს სახელმწიფოს დაყოფილს სხვადასხვა კულტურულ ნაწილებათ. ჩვენს დროში ამ მომენტს ემატება ნაციონალური ვითარება. მრავალ ნაციათა დემოკრატია შეუძლებელია. გამონაკლისი—შვეიცარია—ამ კანონს ადასტურებს. მრავალერიანობა ანგრევს ყოველნაირ სახელმწიფოს.

დემოკრატია დაფუძნებულია კანონზე. როცა კანონს ეკარგება ძალა და მის ალაგს იჭერს უცაბედათ გამოტანილი დეკრეტები, დემოკრატია განსაცდელში ვარდება. ამ დროს ძლიერდება დემაგოგია, ხალხის მეთაურათ გამოდიან ყველა ჯურის ავანტიურისტები, პირში მაქებარნი, ხელისუფლების მაძიებელნი. ასეთი მდგომარეობა მყარდება განსაკუთრებით საგარეო გასაჭირის დროს. წყალი იმღვრევა. დემოკრატიის მტრები თავს სწევენ მაღლა და ქადაგობენ: დემოკრატია ვერ დაგვიცავს, შევსცვალოთ ის, თვარა დავიღუპებითო. ასე ელაპარაკა ათინელი პისანდრი მოქალაქეთა კრებას პელოპონეზის ომის დროს. ხალხი შედრკა, შეშინდა და ერთი დეკრეტით გაუქმა მთელი კონსტიტუცია. დაწესდა ოლიგარხია. რაიცა მოისპო ახალი რევოლიუციით, დემოკრატიის დაპირდაპირება ერის ინტერესებისათვის, რაიცა ხშირათ გაისმის ახლა, ძველი სიმღერაა, ხალხის მოსატყუებლათ გამოგონილი.

ამნაირათ, არც ერთი წყობალება არ ეცემა ისე ადვილათ

როგორც დემოკრატიული. ეს თავისუფლების გვერდით იპოვება ურიცხვი გასაძრომ-გამოსაძრომი, რომლითაც სარგებლობენ მისი მტრები. ეს იძულებულია იაროს ეკლიანი გზით, მოემწყვდეს ორ-ღობეში, გადაცდეს გზიდან ხრამში და ასე კოჭლა-კოჭლობით სულს ირჩენდეს. საუკეთესო დემოკრატია მოგვცა ათინამ და მან გასტანა მხოლოდ 150 წელს. თანამედროვე დემოკრატიის საბოლოო სტაბილიზაცია ჯერაც არ მომხდარა. მას უკვე გამოეთიშა მთელი სამხრეთი—იტალია, ისპანია, საბერძნეთი—და დიქტატურაში შეტოპა.

რა არის ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი? რა საშუალებით შეიძლება დემოკრატიის მტკიცე, შეურყეველ საფუძველზე აგება?

19. სოციალისტური დემოკრატია. ?!

ძირითადი მიზეზი დემოკრატიის დაუდგრომლობის და სისუსტისა არის უთანასწორობა მოქალაქის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას შორის. ნივთიერათ დამოკიდებულს შეუძლია უფლებრივათ დამოუკიდებელი იყოს? ღარიბ კლასების სუვერენობა სინამდვილეს გამოხატავს? აი დემოკრატიის მუდმივი საჭირბოროტო საკითხი. ის თავიდანვე იდგა საზოგადოების წინაშე და მას სჭრიდენ.

პრიმიტიულ დემოკრატიაში ასეთი პრობლემა არც კი დგას. მართველობის საქმეში როლს თამაშობს არა პირადი ქონება, არამედ პირადი ნიჭი, გამოცდილება, ხნოვანება, ნათესაობა. მხოლოდ კლასიურ საზოგადოებაში იწყებს ქონება ადამიანზე გაბატონებას და ხდება საგნათ ბრძოლის და განხეთქილების. დესპოტიაში ერთნაირი ლოღიკა დაცულია—პოლიტიკურათ უუფლებო ხალხი ეკონომიურათაც უუფლებოა. ღარიბი ღარიბია ყველა სფეროში. დემოკრატიაში კი ეს ლოღიკა დარღვეულია, ხალხი ერთ სფეროში სუვერენია, მეორეში კი მორჩილია. აი ეს წინააღმდეგობა ატოკებს დემოკრატიას და მას არღვევს. ეს კარგათ ესმოდათ ძველათ და ამიტომ

საგანგებო სოციალურ ზომებს მიმართავენ დემოკრატიის გადასარჩენათ.

მონტესკიო სწერს:

«ძველ რესპუბლიკათა დამაარსებელნი თანასწორათ ყოფდენ მიწას, რითაც ხალხი მძლავრდებოდა და მით კარგათ მოწესრიგებული საზოგადოება დგებოდა. ეს ქმნიდა ძლიერ მხედრობასაც. ვინაიდან თვითეულ მოქალაქეს ქონდა თანასწორი ინტერესი, და დიდი ინტერესიც, დაეცვა სამშობლო.» *)

მიწა. ეს მაშინდელი ერთათ-ერთი წყარო სიმდიდრისა. ედება საფუძვლათ დემოკრატიას. ეს ასე ვთქვათ თანასწორ მეურნეთა რესპუბლიკაა. როგორც კი მიწის მობილიზაცია გაძლიერდებოდა და უმამულოთა რიცხვი საკმაოთ გადიდდებოდა. მაშინვე კლასთა ბრძოლა მძლავრათ იფეთქებდა და წყობილებას განსაცდელში აგდებდა. ამ დროს დემოკრატიის გადასარჩენათ ტარდებოდა მიწის რეფორმები. ებრაელები მიწას ყოველ 50 წელში ერთხელ გადაანაწილებდენ. ათინის დემოკრატიამ მიანდო ერთ კაცს—სოლონს სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა. რადგანაც მთავარი ბოროტება მდგომარეობდა მიწების დავალიანებაში, სოლონმა ერთი დაკვრით გააუქმა ყველა ვალი და აღადგინა მესაკუთრეთა შორის დარღვეული წონასწორობა. სპარტაში ლიკურგმა მთელი მოძრავი და უძრავი ქონება თანასწორათ დაანაწილა მოქალაქეთა შორის. აკრძალა ოქრო-ვერცხლის ფული, შემოიღო საზოგადო სუფრა—ერთი-სიტყვით მოახდინა უდიდესი სოციალური რევოლიუცია. მისი კონსტიტუცია ხუთას წელიწადს შეურყეველათ ბატონობდა. რომში გრაკხების რეფორმა ცნობილია.

როგორც ხედავთ, დემოკრატიის სოციალური პრინციპია ქონებრივი თანასწორობა, მოქალაქის ეკონომიურათ დამოუკიდებლობა. ამით ის სავსებით ეპირდაპირება დესპოტიის და გაბატონებულ კლასების სოციალურ პოლიტიკას, რაიცა იხატება პირველისათვის სიმდიდრის მთავრობის ხელში და-

*) მონტესკიოს «რომაელთა აღორძინება და დაცემა».

გროვებაში, მეორისათვის თავის თავის გამდიდრებაში. ანტიური დემოკრატია არასოდეს არ ურიგდებოდა ასეთ მიმდინარეობას და ეკონომიური სამართლიანობის დაცვით იცავდა თავის არსებობას. როგორც კი ამ ხაზს გადასცდებოდა და მისი გამოსწორების ძალა ეკარგოდა, ის ინგრეოდა, შინაურ თუ გარეშე მტერთა მსხვერპლი ხდებოდა. დემოკრატია არის სოციალური, ან ის სულ არ არის.

ეგევე პრობლემა დგას დღეს თანამედროვე დემოკრატიის წინაშე. აქ ახალია მხოლოდ ერთი—სიმდიდრის მთავარი წყაროა არა მიწა, არამედ ვაჭრობა-მრეწველობა. მაშასადამე დღევანდელი სოციალური ტკივილების წაშლა აღარ შეიძლება მიწის გადანაწილებით. აგრარიული რევოლიუცია წარმავალი მოვლენაა, ერთი ეპიზოდია, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემს სოციალურ დემოკრატიას. ახალ საწარმოო ფორმებს იძლევა მხოლოდ მრეწველობა და სოციალური საკითხიც მის ირგვლივ ტრიალებს. მარა ვინაიდან მრეწველობა წარმოადგენს არა ინდივიდუალურს, არამედ საზოგადო წარმოებას, ცხადია მისი დანაწილება და დარიგება მოქალაქეთა შორის შეუძლებელია, მრეწველობის შენახვა და იმავე დროს მისი საზოგადო საკუთრებათ გადაქცევა ერთათ-ერთი საამდროო სოციალური რევოლიუციაა. წინეთ სოციალისტური დემოკრატია ნიშნავდა საკუთრების განაწილებას. დღეს კი—საკუთრების განსაზოგადოებას. შრომის საშუალებათა არა დაქსაქსვა, არამედ მთლიან საზოგადოებრივ ძალათ გადაქცევა—აი რა წამოაყენა თანამედროვე ეკონომიკამ და ამ მხრით მიიმართება კაცობრიობა. უკან ჩამორჩენილი ერები ჯერ კიდევ აგრარიულ ხაწაში იმყოფებიან და ამის შესაფერ პოლიტიკურ და სოციალურ ილიუზიებს განიცდიან. მათი მომავალი მოწინავე ერების აწმყოა.

ამნაირათ, თანამედროვე დემოკრატიის სოციალური საფუძველია კაპიტალისტური სისტემის სოციალისტურათ გადაქცევა. პოლიტიკური დემოკრატიის საშოდან უნდა ამოიგლიჯოს გამთიშავი, დამარღვეველი ელემენტები და მათი ალაგი დაიკავოს მთლიან შეთანხმებულ ძალებმა. ამით მოის-

პობა მოქალაქის პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობა და მისი ნამდვილი თავისუფლება გაიჭედება. ასეთია სოციალური დემოკრატიის მახათობელი ვარსკვლავი.

მაგრამ მივაღწევთ კი ამ მიზანს? გზაში არ დაგვენგრევა დემოკრატია და არ ჩავბრუნდებით დესპოტიაში? აი მძიმე პრობლემა. სოციალიზმის განხორციელება შეიძლება განსაკუთრებით ეკონომიურ პირობებში, დემოკრატია ამ მხრით მიიმართება. მაშასადამე მისი დამაგრება, თავისუფლების შერჩენა და მისი საშუალებით ბრძოლის წარმოება—ერთათერთი გზა და ხიდია. დემოკრატია ირღვევა მაშინ, როცა ხალხი მასში ვერ ხედავს მფარველს და თავის ინტერესების დამცველს. აქედან, დემოკრატიული მართველობის ამუშავება ხალხის სასარგებლოთ გახდის მას ურყევათ. მუდმივი, შეუჩერებელი რეფორმები მშრომელთა დასახმარებლათ დაამაგრებს თავისუფლებას და საბოლოოთ დაამარცხებს მის მტერთ. ნაკლები მუშაობა და მეტის აღება საშუალებას აძლევს მოქალაქეს იქონიოს თავისუფალი დრო კითხვის და ფიქრისათვის, შეიქნეს აქტიური მონაწილე დემოკრატიის და იმავე დროს გააუმჯობესოს თავისი ნივთიერი მდგომარეობა იმდენათ, რომ უკან დაბრუნება, ანტიდემოკრატიული ფორმების ძებნა მისი ინტერესი აღარ იყოს.

ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც ასეთ რეფორმებს იცავს, უეჭველია სოციალისტების თანამგზავრია. რადიკალური ბურჟუაზია ეხმარება დემოკრატიას. ის მხოლოდ ჩერდება შუა გზაზე, არ აძლევს მას მკვიდრ ბაზას, კმაყოფილდება რეფორმებით. სოციალისტები კი მიდიან რა ამავე გზით, ისახავენ მიზნათ აასრულონ კლასიკური დემოკრატიის ურყევი დებულება—მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობა აუცილებლათ მოითხოვს მათ ეკონომიურ თანასწორობას.

ამნაირათ, დემოკრატიის მუდმივი და ძლევამოსილი არსებობა შეიძლება მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში. ნამდვილი დემოკრატია—ეს სოციალისტური დემოკრატიაა.

თებერვალი 1926.